# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 15 მარტი 2005 №56 (2379) ფასი 50 თეთრი




## აიაქსმა მწვრთნელი აიაქსში იპოვა

ჰოლანდიურ გრანდს დანი ბლინდი გაწვრთნის

5



## შავი მანქანით წაყვანილი

გაბრიელ ბატისტუტამ კარიერა დაასრულა

9

# ჟორდანიამ მინისტრი გაბაშვილი წაშალა

... გიორგი გაბაშვილს თავის უპასუხისმგებლო განცხადებების პასუხად ფეხბურთის ფედერაცია საბერძნეთ-თურქეთთან მატჩების საპატიო სტუმართა სიაში არ შეიყვანს. მან, თავად თქვა, რომ საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვს და ბილეთის ყიდვა არ გაუჭირდება. ჩვენ გაბაშვილთან ყველანაირი ურთიერთობა შევწყვიტეთ...

იხილეთ მეორე გვერდი




# გორში, ტონთიოსთან ჩანჩქერი გაყინულა



*ზურაბ ხიზანიშვილმა „რენჯერსთან" კონტრაქტი ერთი თვის წინ გაახანგრძლივა 2006-დან 2008 წლამდე, მაგრამ ალექს მაკლიში არა და არ ათამაშებს. მეტიც, სამატჩო განაცხადშიც კი არ შეჰყავს. ამასობაში კი 26-30 მარტი ახლოვდება, სწორედ საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩებში გამოჩნდება, შესწევს თუ არა უნარი საქართველოს ნაკრებს, სერიოზულად იბრძოლოს მუნდიალის საგზურისთვის, მაგრამ დახეთ, რა ხდება ჩვენი უპირველესი გუნდის დაცვაში — კახა კალაძე ტრავმირებულია, ხოლო ხიზანიშვილი უთამაშებელი, მათი სრულფასოვანი შემცვლელები კი, ფაქტობრივად, არ გვყავს...*

# ხიზანიშვილი 9 იანვრის აქეთ: მხოლოდ ორ თამაშზე ვფიქრობ

— არ ვიცი, რატომ არ მათამაშებს მაკლიში, ვერაფერს გეტყვით.

**— ჯანზე ხარ და ახალი კონტრაქტიც გააფორმე „რეინჯერსთან". შენს უთამაშებლობას რაიმე მიზეზი ხომ უნდა ჰქონდეს?**

— მაკლიშთან სალაპარაკოდ არ მივსულვარ, რადგან თუ რამ მიზეზი არსებობს, ეს თავად მწვრთნელმა უნდა მითხრას.

**— უთამაშებელი როგორ ფორმაში ხარ?**

— გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და ფორმის შესანარჩუნებლად მეორე გუნდში ვთამაშობ. ასე რომ, მთლად უთამაშებელი არ მეთქმის. თუმც, რა თქმა უნდა, პირველ გუნდში თამაში ჯობია.

**— ბოლოს როდის ითამაშე პირველ გუნდში?**

— 9 იანვარს „სელტიკთან" სათასო შეხვედრაში.

**— ამასობაში სანაკრებო მატჩები ახლოვდება...**

— თებერვალში ლიტვასთან ამხანაგური მატჩისთვისაც უთამაშებელი ვიყავი, მაგრამ ალენ ჟირესმა მაინც მიხმო ნაკრებში. ახლა მთელი მონდომებით ვემზადები საბერძნეთთან და თურქეთთან სათამაშოდ. ამჯერად მხოლოდ ამ ორ თამაშზე ვფიქრობ, თორემ ჩემი უთამაშებლობა „რეინჯერსში" ადრე თუ გვიან აუცილებლად დასრულდება.

**დავით თაყართქილაძე**



**ინგლისი**

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
ჰალიფაქსი 2:0 იორკი

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. XXV ტური
მიუნხენი 2:1 აინტრახტი

**იტალია**

სერია B. XXX ტური
ტერნანა 0:0 კატანია
სერია C1/B. XXVIII ტური
პადოვა 3:2 აველინო

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. XXIX ტური
კრეტეი 0:1 ტრუა
გენგამი 1:1 ლორიანი

**პორტუგალია**

სუპერლიგა. XXV ტური
ბოავიშტა 2:0 ბელენენსეში

**ჰოლანდია**

II დივიზიონი. XXVI ტური
კამბური 4:3 ეინდჰოვენი
ემენი 2:2 ტელსტარი
ექსელსიორი 1:0 აპელდორნი
ვოლენდამი 1:4 სპარტა
იგლსი 0:0 დორდრეხტი
ჰაარლემი 0:0 ვოლენდამი
ჰელმონდი 0:1 ჰერაკლესი
მაასტრიხტი 1:1 ზვოლე
ოსი 0:3 ვენლო

**ამხანაგური მატჩი**

საუდის არაბეთი 0:1 ეგვიპტე

# ჟორდანიამ გაბაშვილი წაშალა
# ბილეთები იქნება!
## პრეზიდენტმა ქომაგს გადანახული გამოუჩინა



ბადრი ქათილაძის ფოტოები



*საბერძნეთთან და თურქეთთან შესარჩევი მატჩების ბილეთებზე ფეხბურთის ფედერაციის ფასებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ბილეთები ძვირია და ასეთ მნიშვნელოვან თამაშებზე საქართველოს ნაკრებს სტადიონზე ქომაგი არ ეყოლებაო.*

*ფედერაციის გადაწყვეტილებას ცალკე ფეხბურთის ქომაგთა ლიგა აპროტესტებს და ფასების გაიაფებას ითხოვს, ცალკე და უფრო კატეგორიულად ლაპარაკობს სპორტისა და კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილიც. ეგ კი არა, ბილეთების ფასები მინისტრ გაბაშვილისა და ფეხბურთის ფედერაციის ახალი დაპირისპირების საფუძველი შეიძლება გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასა და გიორგი გაბაშვილს შორის ტკბილი ურთიერთობა რომ არ არის, ფედერაციის პრეზიდენტის გუშინდელ პრესკონფერენციაზეც ითქვა. მეტიც, ფეხბურთის ფედერაციამ სპორტისა და კულტურის მინისტრის გვარი საბერძნეთ-თურქეთთან მატჩებზე მიწვეულ საპატიო სტუმართა სიიდან ამოშალა. მერაბ ჟორდანიას თქმით, გაბაშვილს საკმაოდ მაღალი ხელფასი ჰქონია და თუ თამაშებზე დასწრება სურს, შეუძლია ბილეთი იყიდოს.*

*მოკლედ, ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და გაბაშვილის ამასწინანდელ განცხადებებსაც უპასუხა. მინისტრმა თქვა, ფეხბურთის ფედერაციას არ აქვს ბიუჯეტი, ფედერაციაში არ იციან მენეჯმენტი, მოვიდნენ და ორ-სამკვირიან კურსებს ჩავუტარებო.*

*ფედერაციის პრეზიდენტისა და გენმდივნის ვალერი ჩოლარიას გაბაშვილისადმი პასუხი ასეთია*

**მერაბ ჟორდანია:**

— ქართული ფეხბურთის ისტორიაში საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩები, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, ველოდებით მაღალი რანგის სტუმრებს, დაკავებული ვართ საორგანიზაციო საკითხებით და აი, ასეთ დროს, ხელშეწყობის ნაცვლად ისეთი განცხადებები კეთდება, ჩვენთვის პრობლემის მეტი არაფერი მოაქვს. მეტი რომ არ ვთქვა, სპორტისა და კულტურის მინისტრის გიორგი გაბაშვილის სიტყვები, ფეხბურთის ფედერაციას არ აქვს ბიუჯეტი და დაბალხარისხიანი მენეჯმენტი აქვსო, უპასუხისმგებლო განცხადებაა — თქვა მერაბ ჟორდანიამ — ფედერაციის ამასწინანდელმა ყრილობამ, ასი დელეგატის თანდასწრებით დაამტკიცა ახალი ბიუჯეტი და ფედერაციის შემდგომი მუშაობის გეგმა. ფიფა-უეფამ ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად ისევ ჩაგვრთო დახმარების რამდენიმე პროგრამაში, გაბაშვილი კი გამოდის და არასერიოზულ განცხადებებს აკეთებს. ვიცი, რომ საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩებამდე ფედერაციის საქმიანობის დასაკნინებლად მზადდება შეკვეთილი წერილები და გადაცემები და ვისაც ქართული ფეხბურთის მომავალი გადარდებთ, მოგიწოდებთ, ეს არ გააკეთოთ.

გიორგი გაბაშვილს თავის უპასუხისმგებლო განცხადებების პასუხად ფეხბურთის ფედერაცია საბერძნეთ-თურქეთთან მატჩების საპატიო სტუმართა სიაში არ შეიყვანს. მან, თავად თქვა, რომ საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვს და ბილეთის ყიდვა არ გაუჭირდება. ჩვენ გაბაშვილთან ყველანაირი ურთიერთობა შევწყვიტეთ. ამავდროულად კი მსურს, აღვნიშნო, რომ ფეხბურთის ფედერაციას თბილი და საქმიანი კავშირები აქვს სპორტის დეპარტამენტთან და რამდენიმე პროექტის ერთად განხორციელებასაც ვაპირებთ.

— ფეხბურთის ქომაგები ბილეთებთან დაკავშირებით მსურს დავამშვიდო და ვუთხრა, რომ გამორჩეულ გულშემატკივრებს ფედერაცია უბილეთოდ არ დატოვებს. ჩვენ ყოველი მატჩის წინ გვაქვს რეზერვი და ქომაგები ვერის ბაღიდან და ქომაგთა ლიგის წევრები ბილეთებს მიიღებენ, ისევე როგორც ვეტერანები და ბავშვთა საფეხბურთო სკოლები. ისინი შეღავათიან, 7-10 ლარიან ბილეთებს მიიღებენ. შესარჩევ მატჩებზე ეს არის მინიმალური ფასები. მოკლედ, ფეხბურთის ნაღდ ქომაგთ ფასები ნუ შეაშინებთ. იქნება, როგორც ძვირიანი, ისე იაფიანი ბილეთებიც.

— ისიც ვიცით, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მატჩების წინ ფეხბურთის ფედერაციის საწინააღმდეგოდ გარკვეული პროვოკაციები მზადდება, თუმც ფედერაცია ასეთ ამბებს შეჩვეულია და ჩვენზე ეს არ მოქმედებს. გაბაშვილის განცხადებაზე კი აღარც ვფიქრობ. სხვა, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი. ჩვენ არ გვსურს, უპასუხისმგებლო სიტყვებით, საქართველოს ნაკრებს მომზადებაში ხელი შეეშალოს.

— არ ვფიქრობ, რომ გაბაშვილი ქვეყნის მთავრობის აზრს ახმოვანებს. ფედერაციას მთავრობასთან არანაირი დაპირისპირება არ აქვს. სპორტისა და კულტურის სამინისტრო არ მიხსენებია. კონკრეტულმა პირმა ილაპარაკა და თავისი პოზიცია დააფიქსირა. ჩვენც ვუპასუხეთ და ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ.

— ფეხბურთი ქვეყნის პრეზიდენტმა სპორტის პრიორიტეტულ სახეობად გამოაცხადა, სპორტისა და კულტურის მინისტრმა კი ფეხბურთი პრიორიტეტულ სახეობად არ მიიჩნია. კი, მართალია, ფეხბურთი არც ერთ ქვეყანაში ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, მაგრამ გარკვეულ დახმარებას, თუნდ მცირე დოზით, ყველგან იღებს.

— მიშელ პლატინის თბილისში ჩამოსვლა, საფეხბურთო საქართველოსთვის განსაკუთრებული მოვლენაა. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ პლატინი, როგორც საქართველოს ქომაგი, მეგობრული ვიზიტით გვეწვევა, თუმც მასთან ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხსაც განვიხილავთ. რა საკითხებზე ვისაუბრებთ, ამას ჯერჯერობით ვერ დაგიკონკრეტებთ.

**ვალერი ჩოლარია:**

— სპორტისა და კულტურის მინისტრს შევახსენებ, რომ მენეჯმენტისა და მარკეტინგის ორსამ კვირაში სწავლა მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის ადამიანებს შეუძლიათ, ჩვეულებრივი ხალხი კი მთელი ცხოვრება სწავლობს.

— დღევანდელი ანგარიშით საბერძნეთთან და თურქეთთან თითო თამაშის საორგანიზაციო ხარჯი 90-100 ათასი ლარია. თუმც დარწმუნებული ვარ, ხარჯი 100 ათასზე გაცილებით მეტიც იქნება. საბოლოო ხარჯთაღრიცხვას 20 მარტისთვის გავაკეთებთ.

**კობა ინასარიძე**

# გაუცინარმა ხელმწიფემ ძალაუფლებას ვერ გაუძლო



გეგუჩაძეს არ ჰქონია მეგობრული დამოკიდებულება ფეხბურთელებთან, დინამოელებს მისი რიდი, შიში და რწმენა კი ჰქონდათ — გეგუჩაძე თანამედროვე მწვრთნელია, უყვარს რისკი და შეტევა — ასეთი იყო საყოველთაო აზრი.

რისკი იყო, ივო შუშაკი „დინამოდან" რომ გააგდეს მან კი ასეთ დროს გუნდი ჩაიბარა — გეგუჩაძეს ზურგს კლუბის მმართველობა უმაგრებდა, მაგრამ ვიმეორებთ მწვრთნელისთვის ეს მაინც დიდი რისკი იყო.

ფეხბურთელები გეგუჩაძის ვარჯიშებით და შემტევი სტილით იყვნენ მოხიბლულნი, „დინამო" კი უფრო ბრძოლის და სწორი მოძრაობის წყალობით იწონებდა თავს შინ თუ გარეთ. მართალია ასეთ „დინამოში" არ აღმოჩნდა ლადო ახალაიას, ლადო ბურდულის და სანდრო იაშვილის ადგილი, მაგრამ „დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპამდე გაშლიგინდა.

თუმცა, როგორც ყველგან, ფეხბურთშიც მთავარი ტესტი ძალაუფლებაა — მომძლავრებულ, უკვე სახელდაგდებულ გეგუჩაძეს ახალი, სულ სხვანაირი გამოცდა ელოდა და ის ველარ გაიარა — „დინამოს" ხელახლა აწყობა მოინდომა, უცნაურ სატრანსფერო პოლიტიკას მიმართა, მისი სტილისთვის შეუსაბამი ფეხბურთელები მიიწვია და მეორე ეტაპისთვის ვერანაირი საინტერესო სიახლე ვერ შემოგვთავაზა.

მწვრთნელს ახალგაზრდა ფეხბურთელის გამოზრდაც უნდა ჩავუთვალოთ საქმეში. სხვათა შორის გეგუჩაძეს არაერთხელ უთქვამს, საქართველო უფრო ფეხბურთელების მიმწოდებული ქვეყანაა, მაგრამ სამეორეეტაპო „დინამოში" ყველაფერი აირ-დაირია: გეგუჩაძის აღმოჩენა ჯაბა კანკავაც დინამოელი აღარ არის.

ასეა, „დინამოს" მწვრთნელობა ცეცხლთან თამაშია, „დინამოს" მწვრთნელი უკვე ხელისუფალია და უძნელესი გამოცდის წინაშე დგას.

**თბილისის** „დინამოს" მწვრთნელობა დიდი ტვირთია და ალბათ ამიტომაც იყო, გია გეგუჩაძე ლუის მენოტივით რომ ეწეოდა სიგარეტს სიგარეტზე, თუმცა გეგუჩაძე არ იყო მენოტისავით რომანტიკოსი. გეგუჩაძე გახლდათ „დინამოს" ის მწვრთნელი, რომელიც არ იცინოდა არც ვარჯიშისას, არც თამაშისას, არც პრესკონფერენციისას და არც მოგებული მატჩის შემდეგ.

გეგუჩაძე იყო „დინამოს" ის მწვრთნელი, ვინც დავით ყიფიანისგან ბევრი ისწავლა და სამუშაო ოთახშიც ყიფიანის ჩარჩოში ჩასმული ფოტო ედო. გეგუჩაძემ იოჰან ბოსკამპისგანაც ბევრი ისწავლა და ნაკრებში მისი თანაშემწეც იყო. თან, გეგუჩაძეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ხელფასი არ ჰქონდა დანიშნული, მაგრამ ჰოლანდიელისგან სწავლობდა და ამითაც კმაყოფილი იყო.

**დავით თავართქილაძე**

## დინამოს მწვრთნელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1936 | ჟიული ლიმბეკი | 1987 | გერმან ზონინი |
| 1937-39 | ალექსეი სოკოლოვი | 1988-91 | დავით ყიფიანი |
| 1939-40 | მიხაილ ბუტუსოვი | 1991-93 | რევაზ ძოძუაშვილი |
| 1941 | პიოტრ ფილიპოვი | 1993-94 | გივი ნოდია |
| 1945 | ასირ გალპერინი | 1994 | თემურ ჩხაიძე |
| 1946-47 | ანდრო ჟორდანია | 1994-95 | სერგო კუტივაძე |
| 1948 | მიხეილ ბერძენიშვილი | 1995 | ვაჟა ჟვანია |
| 1949 | მიხაილ მინაევი | 1995-98 | დავით ყიფიანი |
| 1949-50 | ალექსეი სოკოლოვი | 1998 | ნოდარ აკობია |
| 1950-53 | მიხაილ იაკუშინი | 1998-99 | მურთაზ ხურცილავა |
| 1953-54 | ბორის პაიჭაძე | 1999 | იოჰან ბოსკამპი (3 მაისი-10 აგვისტო) |
| 1955 | ანდრო ჟორდანია | 1999 | გია გეგუჩაძე (11-15 აგვისტო) |
| 1956-57 | გაიოზ ჯეჯელავა | 1999-2000 | ოთარ კორღალიძე |
| 1958 | ვასილი სოკოლოვი | 2000 | ჯემალ ჩიმაკაძე (8 მაისი-11 ივლისი) |
| 1959-61 | ანდრო ჟორდანია | 2000 | რევაზ არველაძე (12 ივლისიდან) |
| 1961-62 | ავთანდილ ღოღობერიძე | 2001 | გოჩა ტყებუჩავა (12 მარტი-12 ივნისი) |
| 1962-64 | მიხაილ იაკუშინი | 2001 | გივი ნოდია (13 ივნისიდან) |
| 1964-65 | გავრილ კაჩალინი | 2002-04 | ივო შუშაკი (27 აპრილამდე) |
| 1966 | ალექსანდრე კოტრიკაძე | 2004-05 | გია გეგუჩაძე (13 მარტამდე) |
| 1967-68 | ვიაჩესლავ სოლოვიოვი | 2005 | ხვიჩა ქასრაშვილი |
| 1969-70 | გივი ჩოხელი | | |
| 1971-72 | გავრილ კაჩალინი | | |
| 1973 | ალექსანდრე კოტრიკაძე | | |
| 1974 | გივი ჩოხელი | | |
| 1974-75 | მიხაილ იაკუშინი | | |
| 1976-83 | ნოდარ ახალკაცი | | |
| 1984-86 | დავით ყიფიანი | | |
| 1986 | ნოდარ ახალკაცი | | |
| 1987 | კახი ასათიანი | | |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს XVI ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა**

**მეორე ეტაპი**

## 23 ტური

| | | |
|---|---|---|
| სიონი | 1:1 | ვიტ ჯორჯია |
| დინამო | 0:1 | ზესტაფონი |
| კოლხეთი | 1:2 | ლოკომოტივი |
| დილა | 1:3 | ტორპედო |
| ბათუმი | 0:1 | თბილისი |

*ტურის მწვრთნელია — თემურ მახარაძე, გუნდი — „ზესტაფონი". მათ თბილისის „დინამო" დაამარცხეს, რასაც გია გეგუჩაძის გადადგომა მოჰყვა. „ზესტაფონს" უკვე თავისი ფანკლუბიც ჰყავს, რომელიც გასვლით თამაშებზეც დაჰყვება გუნდს. მაგრამ მხოლოდ ეს როდია სალაპარაკო — ჩემპიონატს ლიდერი შეეცვალა, სამეორეეტაპოდ დაშლილი „თბილისი" მაინც გაპირველდა და ჩემპიონატსაც სიმძაფრე შეემატა.*

*მოკლედ, ძალიან ტევადი ტური გამოდგა და იქნებ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ქუთაისის „ტორპედოც" მძლავრად ჩაებას.*

*რა, სად, როდის და როგორ — მიმდინარე ჩემპიონატი ისეთი ხდება, რომ ამ კითხვებზე პასუხს ყველა ერიდება, მოულოდნელობის ფაქტორმა ტივტივასავით ამოიწია.*





### გეწაძის სატელეფონო ელექტორატი

**რევაზ გეწაძემ** ხანმოკლე განშორების შემდეგ პირველად ითამაშა „თბილისში". გეწაძე თებერვალში „თბილისიდან" „დინამოში" გადავიდა, მაგრამ სულ სათადარიგო იყო და „თბილისში" დაბრუნება არჩია. „თბილისში" სათამაშოდ კი გეწაძეს ფედერაციის აღმასკომის ნებართვა სჭირდებოდა. აღმასკომში 21 წევრია და ნებართვისას წევრთა ნახევარზე მეტის თანხმობაა აუცილებელი. გეწაძისთვის აღმასკომის 14 წევრი ტელეფონით გამოკითხეს, ერთმა თავი შეიკავა, ერთი წინააღმდეგი იყო, თერთმეტმა კი მწვანე შუქი აუნთო გეწაძის „თბილისში" თამაშს.

ასე დაბრუნდა „დინამოში" გადასული გეწაძე „თბილისში" და 23-ე ტურში „ბათუმთანაც" ითამაშა.

## ფანიაშვილო და მილჩენკო. რას აკეთებთ?

**მსაჯებს** არაერთხელ უთქვამთ, რომ ისინიც ადამიანები არიან და შეცდომები მათაც მოსდით. მაგრამ რაც ლევან ფანიაშვილმა [illegible] „დინამო" — „ზესტაფონის" მატჩზე, ეს ის შეცდომა არა იყო, რაც [illegible] იანს მოსდის — ასე იქცევა მსაჯი, რომლის რეპუტაციას და [illegible] ფიკაციას კითხვის ნიშანი უნდა დავუწეროთ.

ზესტაფონელი ზურაბ იონანიძე დინამოელ გიორგი ნემსაძესთან [illegible] ჯარიმდა, ნემსაძემ ჯერ ფეხი მიარტყა მინდორზე გართხმულ იონანიძეს, შემდეგ ხუთი თითი მიაბჯინა სახეზე წამომდგარ მეტოქეს. იონანიძე საქართველოს ჩემპიონატში ისეა გამოცდილი, რომ [illegible] აჰყვა, თითქოს იგუმანა, ფანიშვილი არ დამინდობსო. ნემსაძეს კი [illegible] მდე უკვე მიღებული ჰქონდა ყვითელი ბარათი და მისი [illegible] ეპიზოდის შემდეგ მომწიფებული იყო. მაგრამ ფანიაშვილმა [illegible] და მისი კაპიტანი დაინდო, იონანიძეს კი ყვითელი ბარათი [illegible]

რატომ?

სხვათა შორის, მატჩის ინსპექტორი მსაჯთა შეფი [illegible] ნკო გახლდათ...



| ბომბარდირები | |
|---|---|
| 16-მელქაძე | დინამო |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| 10-ოდიკაძე | თბილისი/დინამო |
| ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 8-მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იაშვილი | თბილისი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 23 | 14 | 4 | 5 | 45:26 | 46 |
| დინამო | 23 | 14 | 3 | 6 | 45:23 | 45 |
| ტორპედო | 23 | 12 | 7 | 4 | 37:19 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 23 | 10 | 7 | 6 | 37:27 | 37 |
| ლოკომოტივი | 23 | 9 | 10 | 4 | 31:19 | 37 |
| ზესტაფონი | 23 | 10 | 2 | 11 | 22:38 | 32 |
| ბათუმი | 23 | 6 | 8 | 9 | 25:21 | 26 |
| კოლხეთი | 23 | 6 | 5 | 12 | 23:31 | 23 |
| სიონი | 23 | 6 | 3 | 14 | 21:47 | 21 |
| დილა | 23 | 2 | 3 | 18 | 15:50 | 9 |

### მომდევნო ტური

16 მარტი, ოთხშაბათი

ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია

ტორპედო – ბათუმი

ზესტაფონი – დილა

კოლხეთი – დინამო

თბილისი – სიონი

### სიმბოლური ნაკრები

სანდრო იაშვილი — თბილისი
გიორგი მეგრელაძე — ტორპედო
გიორგი კახელიშვილი — ლოკომოტივი
ოთარ მარცვალაძე — ვიტ ჯორჯია
ვალტერ გურუა — ზესტაფონი
დავით დილმელაშვილი — ვიტ ჯორჯია
ზურაბ ძამსაშვილი — ზესტაფონი
გოჩა სულაკაძე — ზესტაფონი
შალვა ლონდაძე — ზესტაფონი
ლევან შავგულიძე — ზესტაფონი
მინდია ბოგდიაშვილი — სიონი

გუნდი: ზესტაფონი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

# ბუნდესლიგის ქართული პოლუსები



ლევან კობიაშვილმა კლაუდიო პიზაროს გოჯიც არ დაუთმო

## შალკე და ფრაიბურგი თავში და ბოლოში

***ლევან კობიაშვილის „შალკე" ბუნდესლიგის სათავეშია.*** გელზენკირხენელებმა უდაძაბულეს მატჩში შინ, „აუფ შალკეზე" 1:0 მოუგეს მიუნხენის „ბაიერნს" და პირველ ადგილზე აინაცვლეს. კობიაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული იყო მოედანზე და ერთხელ გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ფეხიდან აეჭრა. გოლი კი მიუნხენელებს ბრაზილიელმა ლინკოლნმა საჯარიმო დარტყმით გაუტანა.

***„ფრაიბურგს" ამიერიდან ალბათ ვერარაფერი უშველის.*** ***ხიზანეიშვილ-იაშვილ-ცქიტიშვილის*** გუნდმა შინ „ნიურნბერგთანაც" წააგო და მომავალ სეზონს ალბათ მეორე ბუნდესლიგაში გაატარებს.

***ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა გოგა გახოკიძე.*** ენსხედელთა ქართველმა ლეგიონერმა „როზენდალთან" მატჩში ბოლო 27 წუთი ითამაშა და საკმაოდ აქტიურადაც. „ტვენტემ" წარმატებული სერია გააგრძელა — 3:0 მოიგო და ახლა მეექვსე ადგილზეა სატურნირო ცხრილში, რაც ენსხედელთათვის საამსეზონო რეკორდული მაჩვენებელია.

***რუსეთში პრემიერლიგა დაიწყო, თუმც ჯერჯერობით სამი ქართველით.*** მართალია, წლეულს პრემიერლიგის გუნდებში თერთმეტი ჩვენებური ირიცხება, მაგრამ უმეტესობა ჯერჯერობით მოედანზე არ ჩანს. ქართველთაგან ყველაზე წარმატებულად ***მალხაზ ასათიანის*** „ლოკომოტივმა" ითამაშა — დებიუტანტ „ტომს" 2:0 მოუგო. ასათიანი ძირითადში იყო, თუმც 88-ე წუთზე შეცვალეს. ითქვა, მალხაზმა ტრავმა მიიღოო, მაგრამ, როგორც გავიგეთ, სერიოზული არაფერი სჭირს. ეს ამბავი ლოკომოტიველმა ***მიხეილ აშვეთიამაც*** დაგვიდასტურა: „ჯანზე კი ვარ, მაგრამ მწვრთნელმა გადაწყვიტა, სათადარიგო ვყოფილიყავი. მალხაზი კი თავს კარგად გრძნობს, ტკივილებმა უკვე გაუარა".

ქართველებით სავსე „ალანიამ" 0:2 წააგო სამარაში. ***ჯაბა კანკავამ*** 90 წუთი ითამაშა, ***ვიტალი დარასელია*** მატჩის მიწურულს შევიდა შეცვლაზე, სხვა ქართველებს კი არ უთამაშიათ. საინტერესოა ისიც, რომ „ალანიამ" ***ლევან გვაზავას*** გასხვისება გადაიფიქრა. აქამდე ტრანსფერზე დაყენებული გვაზავა უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს გუნდთან ერთად და ეგებ მომავალ ტურში ითამაშოს კიდეც.

***უკრაინაში ვასილ გიგიაძემ იყოჩაღა.*** სიმფეროპოლის „ტავრიამ" 4:0 მიანგრია „ვორსკლა" და ამ ამბავში ვასომ წონიანი სიტყვა თქვა. გიგიაძემ ერთი გოლი თავად გაიტანა, ორში კი აქტიური მონაწილეობა მიიღო. ნამატჩევს სიმფეროპოლელთა თავკაცმა აღიარა კიდეც, გიგიაძე ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია უკრაინის ჩემპიონატში.

**ქახა ფალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | სამპდორია 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 1 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ბაიერნი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 24 | 3 | 1 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ნიურნბერგი 2:3 | 90 | საგოლე პასი | 22 | 2 | 18 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ნიურნბერგი 2:3 | 0 | | 17 | 1 | 18 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ნიურნბერგი 2:3 | 90 | | 7 | 0 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ერფურტი 3:2 | 0 | | 13 | 2 | 6 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | ალემანია 0:2 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 1 | 9 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანდი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 4 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | დანდი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 14 | 0 | 1 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | როზენდალი 3:0 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ტომი 2:0 | 88 | შეცვალეს | 1 | 0 | 4 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ტომი 2:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 4 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | ტომი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | ტომი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | კრილია 0:2 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 12 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | კრილია 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 12 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | კრილია 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 12 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | კრილია 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 12 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | კრილია 0:2 | 90 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 12 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | კრილია 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 12 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | სატურნი 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 9 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | შ | იანგ ბოისი 0:5 | 90 | | 2 | 0 | 4 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | სიონი | შ | ბადენი 4:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 4 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | პაშინგი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 21 | 4 | 8 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | ხალკიდონა 1:2 | 90 | | 20 | 0 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ბორისფენი 1:3 | 56 | შეცვალეს | 17 | 3 | 3 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ილიჩევეცი 1:1 | 0 | | 13 | 1 | 9 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ვორსკლა 4:0 | 74 | 1 გოლი, შეცვალეს | 17 | 8 | 7 |
| ალეკო ამისულაშვილი | დნიპრო | შ | მ. ზაპოროჟიე — გად. | 0 | | 0 | 0 | 6 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | დნიპრო — გადაიდო | 0 | ტრავმირებულია | 7 | 3 | 13 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | დნიპრო — გადაიდო | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | ნესებრი 2:0 | 90 | | 19 | 4 | 1 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | მარეკი 3:2 | 90 | | 10 | 0 | 6 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | შ | მარეკი 3:2 | 0 | | 6 | 1 | 6 |
| **თურქეთი. მეორე ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | იოზგათსფორი 2:2 | 0 | | 6 | 0 | 5 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აპოელი 3:2 | 90 | 1 გოლი | 19 | 11 | 1 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | აპოელი 3:2 | 89 | საგოლე პასი, შეცვალეს | 18 | 2 | 1 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | ს | აპოელი 3:2 | 88 | შეცვალეს | 21 | 7 | 1 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | აპოელი 3:2 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 1 | 1 |
| გოჩა ხოჯავა | ანართოსისი | ს | აპოელი 3:2 | 0 | | 1 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## თქვენი ინტერვიუ
## ზურაბ ხიზანიშვილთან
«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია



*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს" ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. საპასუხო მატჩი

## მაღლა აწეული თავები

### ვერონი თვითმკვლელობის წინააღმდეგია

**იმის გამო**, რომ „მილანისა“ და „ინტერის“ საშინაო თამაშები ერთმანეთს დაემთხვა, „ნეროაძური“ თასის მფლობელ „პორტუს“ დღეს უმასპინძლებს და ჩემპიონთა ლიგის მერვე მეოთხედფინალისტიც გაირკვევა.

ორივე გუნდს ერთი კვირით მეტი მოსამზადებელი დრო ჰქონდა, მაგრამ ჩემპიონატებში გამოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი არ ბრწყინავს.

„ინტერმა“ ჩვეულად, ფრედ ითამაშა რომში „ლაციოსთან“, თუმც პირველი ტაიმის შემდეგ აგებდა. ლაციოელებს მეორე ნახევარში ჯულიანო ჯანიკედა გაუძევეს და „შავლურჯებმა“ კაცნაკლული მეტოქის ძლევა მაინც ვერ მოახერხეს.

რაც შეეხება ჩემპონთა თასის მფლობელ „პორტუს“, ჟოზე მაურინიუს შემდეგ სამი მწვრთნელი გამოიცვალა. იტალიელი ლუიჯი დელ ნერი ესპანელმა ვიქტორ ფერნანდესმა შეცვალა, ფერნანდესი კი ჟოზე კოუსეირუმ. გასულ პარასკევს „პორტუ“ შინ „ნასიონალთან“ 0:4 დამარცხდა და ასეთი ანგარიშით გულდამძიმებელი ეწვევა „სან სიროს“. აღსანიშნავია, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში „პორტუმ“ პირველად წააგო შინ ოთხბურთიანი სხვაობით.

„ჩვენ გაცილებით უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე „ლაციოსთან“, რადგან ეს მატჩი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია“ — თქვა რობერტო მანჩინიმ.

„ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები სულ სხვაა — განაცხადა ხუან სებასტიან ვერონმა — მერვედფინალიდან ყველა მატჩი ფინალის ტოლფასია. „პორტუს“ სათამაშო უპირატესობას თუ დავუთმობთ, ეს თვითმკვლელობა იქნება“.

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

**ინტერი — პორტუ (1:1)**

სავარაუდო შემადგენლობები

| ინტერი | პორტუ |
|---|---|
| ტოლდო, ზე მარია, მიხაილოვიჩი, მატერაცი, ხ. ძანეტი, ვერონი, კამბიასო, ემრე, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი | ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, რიკარდუ კოშტა, ჟორჟე კოშტა, ნუნუ ვალენტე, მეირელეში, მანიშე, კოშტინია, დიეგო, კვარესმა, მაკკარტი |
| მწვრთნელი: რობერტო მანჩინი | მწვრთნელი: ჟოზე კოუსეირუ |



ადრიანო ძველებურ ფორმაში არ ყოფილა, ხუან ვერონისთვის კი ლიგაში ყველა მატჩი ფინალის ტოლფასია

რობერტო მანჩინის ორი ფეხბურთელი დააკლდება — კოლუმბიელი ივან კორდობა და ჯუზეპე ფავალი. კორდობას ადგილს სავარაუდოდ დისკვალიფიკაციამოხდილი სერბი სინიშა მიხაილოვიჩი დაიკავებს და დაცვის ცენტრში მარკო მატერაცის შეუწყვილდება, რომელსაც „ლაციოს“ ფორვარდმა რობერტო მუციმ ყვრიმალის ძვალი გაუხეთქა.

„ინტერის“ მწვრთნელს ფორვარდების სისუსტეც ადარდებს. ადრიანო ის აღარაა, რაც სეზონის პირველ ნახევარში იყო, ობაფემი მარტინსი და კრისტიან ვიერიც დაძაბუნდნენ, ხოლო ალვარო რეკობა უკვე კარგა ხანია, დაშავებულია. ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად ითამაშებს ესტებან კამბიასო, რომელმაც „ლაციოსთან“ შეგნებულად დაისვენა.

„ნასიონალთან“ მარცხის შედეგად „პორტუ“ ცხრილში მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა და ახლა ლიდერ „ბენფიკას“ სამი ქულით ჩამორჩება.

„ჩვენ თავები მაღლა უნდა ავწიოთ და „ნასიონალთან“ წაგება დავივიწყოთ — განაცხადა ჟოზე კოუსეირუმ — მერწმუნეთ, „პორტუს“ შეუძლია, „ინტერთან“ სასურველი შედეგისთვის იბრძოლოს“.

პორტუგალიელებს სადღეისოდ კაპიტანი ჟორჟე კოშტა და ბრაზილიელი ნახევარმცველი დიეგო დაემატებათ, რომლებმაც პირველი შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს. დიეგოს თანამემამულე ლუის ფაბიანო კი განაცხადში არაა, რადგან არ ეფეხბურთება — დედამისი პარასკევს ყაჩაღებმა გაიტაცეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ნესტა გაჭრეს, მალდინი დაჭრეს

### გალიანი ექიმებმა დაამშვიდეს



**„მილანის“** მცველების — პაოლო მალდინისა და ალესანდრო ნესტას „სამპდორიასთან“ მიღებული ტრავმები არც ისე სერიოზული გამოდგა, როგორც თავიდან ჩანდა, თუმც ნესტას საქმე შედარებით სერიოზულადაა. მას ფეხი ჰქონია გაჭრილი და ექიმებმაც შვიდი ნაკერი დაადეს. შესაბამისად, საეჭვოა მისი „რომასთან“ თამაში, ხოლო მილანელთა კაპიტანი, მედიკოსების თქმით, დედაქალაქელებთან საპაექროდ მზად არის.

„ნესტას“ ჭრილობის ნახვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ვილაცამ იგი განგებ დანით დასერა. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ბუცით მეტოქეს ასეთი ტრავმა მიაყენო. ალბათ, ალესანდრო „რომასთან“ მატჩამდე მომჯიბინებას ვერ მოასწრებს. პაოლო კი შედარებით მსუბუქად დაშავდა. ჩვენ ვესაუბრეთ მას და უკვე გადაწყვეტილია, რომ მალდინი „სტადიო ოლიმპიკოზე“ აუცილებლად ითამაშებს“ — აღნიშნა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

## ფეხბურთის მტერი

### მაურინიუმ ფრისკი გააგდო

*უეფას სამსაჯო კომიტეტის შეფმა ფოლკერ როტმა გუშინ ჟოზე მაურინიუს „ფეხბურთის მტერი“ უწოდა*

**მოგეხსენებათ**, „ჩელსის“ მწვრთნელმა ბარსელონაში მისი გასვლითი თამაშის მსაჯი, ანდერს ფრისკი უსაფუძვლოდ გააკრიტიკა. ფრისკმა ფანებისგან სასიკვდილო მუქარის წერილების მიღება დაიწყო და გამოაცხადა, მსაჯობას თავს ვანებებო. როტი ამან ძალიან გაამწარა: „ვერაფრით შევეგუები, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი ამის გამო საქმეს ჩამოშორდეს. მაურინიუსნაირი ხალხი ფეხბურთის მტერია. მისნაირი მწვრთნელები ინტრიგებს ხლართავენ, შედეგად კი სასიკვდილო მუქარებს ვიღებთ“.

მანამდე, უეფამ გააფრთხილა მაურინიუ, რომ გამორჩეული მსაჯისა და პიროვნების, ანდერს ფრისკის ლანძღვა შეეწყვიტა.

„ჩელსის“ ბოსმა უეფა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, როცა თქვა, ვიცნებობ „ბარსასთან“ საპასუხო მატჩზე მსაჯად პიერლუჯი კოლინა იყოსო. უეფამ სწორედ კოლინა დანიშნა ამ მატჩზე, მაურინიუს კი თავისი აზრების ამგვარად გამოხატვა უსაყვედურა.

შვეიცარიელმა ურს მაიერმა, რომელმაც მსაჯობა შარშან ზაფხულს, ევრო 2004-ის პორტუგალია — ინგლისის მეოთხედფინალურ მატჩში დაშვებული შეცდომების გამო დაასრულა, თქვა: „უეფამ რაიმე უნდა იღონოს, თორემ თამაშს მეტი და მეტი გამოცდილი მსაჯი ჩამოშორდება“.

**ირაკლი გამყრელიძე**





ანდერს ფრისკი ჟოზე მაურინიუს:
ჩემი კარიერა ამ უნამუსოს სინდისზეა




## აქ არ არის ბლინდი?!

### აიაქსმა მწვრთნელი აიაქსში იპოვა

**რონალდ კუმანის** გადადგომის შემდეგ უმწვრთნელოდ დარჩენილი „აიაქსი“ დანი ბლინდს ჩააბარეს. ამსტერდამული გუნდის ყოფილი კაპიტანი და ჰოლანდიის ნაკრებში 41 კეპმოხვეჭილი ბლინდი გუშინ ოფიციალურად წარუდგინეს მედიას.

41 წლის კუმანმა, რომელიც „აიაქს“ 2001 წლიდან წვრთნიდა, გუნდი ჰოლანდიის ჩემპიონატსა და უეფას თასზე წარუმატებელი თამაშის გამო დატოვა. კლუბის ხელმძღვანელებს მის ნაცვლად რამდენიმე კანდიდატი ჰყავდათ შეგულებული, თუმც საბოლოოდ შორს წასვლა აღარ დასჭირდათ და „აიაქსის“ ჭაბუკთა აკადემიის თავკაცი დანი ბლინდი ირჩიეს.

დანი ბლინდმა საფეხბურთო კარიერა როტერდამის „სპარტაში“ დაიწყო, საიდანაც 1986 წელს „აიაქსში“ გადავიდა და 13 წლის მანძილზე მისთვის არც უღალატია. ამ ხნის განმავლობაში ბლინდმა გუნდთან ერთად 16 ჯილდო მოიგო — 5-ჯერ ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა, სამ-სამჯერ კი ქვეყნის თასს და სუპერთასს დაეუფლა. 1992 წელს „აიაქსი“ უეფას თასს იგებს, სამი წლის თავზე კი, 1995 წელს ამსტერდამელები დანი ბლინდის კაპიტნობით ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანს“ ამარცხებენ და ამ უპრესტიჟულესი ტურნირის გამარჯვებულები ხდებიან.

1999-ში ბლინდმა მოთამაშის კარიერა დაასრულა და მუშაობა ისევ „აიაქსში“, კლუბის სტრუქტურაში განაგრძო. 2003 წელს მას ჭაბუკთა აკადემია ჩააბარეს, გუშინ კი, თავშიც ვთქვით, მთავარი მწვრთნელი შეიქნა და გუნდს 2007 წლის ივლისამდე უთავკაცებს.

**კახა ხურციძე**






„ბაიერნის“ კარში გატანილმა ამ გოლმა „შალკეს“ ქომაგებს საოცნებო ბუნდესსასალათე მოაგონა

## ცხრა ტური და შალკეს შანსი
### ათი წლის ისტორია ხუმარებს ემხრობა

**გერმანია**

**ბუნდესლიგა. XXV ტური**

**შალკე 1:0 ბაიერნი**

1:0 ლინკოლნი (69)
**შალკე:** ფ. როსტი, უდე კამპუისი, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ვერმანტი, კობიაშვილი, ლინკოლნი (დ. როდრიგესი 90), ასამოა (ჰამიტ ალტინტოპი 8), აილტონი, სანდი
**მწვრთნელი:** რალფ რანგნიკი
**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, დემიკელისი, ლიზარაზუ (თ. ლინკე 87), ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი (ჰაშემიანი 72), დაისლერი (შვაინსტაიგერი 46), ბალაკი, კ. პიზარო, პ. გერერო
**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი
**გაფრთხილება:** კრსტაიჩი, კობიაშვილი, ლუსიო, ბალაკი
**მსაჯი:** ფანდელი
61 524 მაყურებელი

**„შალკემ“** მოუგო „ბაიერნს“ და ოცდახუთი სრული ტურის შემდეგ, სეზონში პირველად მოექცა ბუნდესლიგის სათავეში.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ცხრა ტური დარჩა, „ბაიერნის“ მწვრთნელი ფელიქს მაგათი კი ამბობს, ბუნდესსასალათესთვის ბრძოლა ჯერ არ დასრულებულაო: „ჩვენ მეორე ადგილზე ვართ, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გავედით და გერმანიის თასზეც ვთამაშობთ. ყველაფერი კარგად მიდის. მე არ ვიცი „შალკეს“ დარჩენილი მატჩების კალენდარი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნს“ ბუნდესლიგაში იოლი შეხვედრები არ ელის, ვიმედოვნებ, კიდევ ბევრ ქულას მოვაგროვებთ“.

იგივეს ფიქრობს ოლივერ კანიც: „ვისაც ეგონა, რომ ეს საჩემპიონო მატჩი იქნებოდა, შეცდნენ. „შალკეს“ თამაშმა ჩემზე შთაბეჭდილება ნამდვილად ვერ მოახდინა. იგი არ ჰგავს გუნდს, რომელსაც ბუნდესლიგის მოგება შეუძლია. მათ ბევრი საგოლე მომენტები ვერ შექმნეს“.

„შალკეს“ მწვრთნელი რალფ რანგნიკი კი ფრთხილობს: „ცხადია, ამ გამარჯვებით და ცხრილში ერთპიროვნულად გალიდერებით ძალიან გავიხარეთ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, თუნდაც მომდევნო ტურში, „მაინცთან“ სამი ქულა აუცილებლად უნდა ავიღოთ. მთავარია, სეზონის ბოლოს პირველ ადგილზე ვინ იქნება. მართალია, მიჯრით მეხუთე შეხვედრაში ვიმარჯვეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს იყო ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი“.

...ჯერალდ ასამოა დაშავდა და მერვე წუთზე ჰამიტ ალტინტოპმა შეცვალა. „ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა და, თუ „ბაიერნის“ ძლევა მოვახერხეთ, ალბათ ოქროსთვის ბრძოლასაც შევძლებთ“ — თქვა ასამოამ.

ჯადო-გოლის ავტორმა, ბრაზილიელმა ლინკოლნმა განაცხადა: „ვფიქრობ, ჩემთვის ეს გოლი კარიერაში ჯერჯერობით უმთავრესი იყო. ძალიან მძიმე მატჩი გამოდგა, მაგრამ მთავარია, რომ სამი ქულა ავიღეთ“.

მაშ ასე, გელზენკირხენის „შალკე“ ბუნდესლიგის დაარსებიდან (1964) გერმანიის ჩემპიონი არ ყოფილა. ოთხი წლის წინ „ხუმარებს“ ოქრო „ბაიერნის“ შვედმა პატრიკ ანდერსონის გოლმა წაართვა. მან „ჰამბურგთან“ ბოლო ტურის მატჩის ბოლო წუთზე „ბაიერნის“ გამარჯვებისა გაიტანა და გელზენკირხენი ცრემლად დაიღვარა.

„შალკეს“ ახლა კიდევ ერთი შანსი აქვს, ჩვენ კი ისტორია ამოვქექეთ და საკმაოდ საინტერესო ფაქტსაც წავაწყდით. ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხრაჯერ ის გუნდი გახდა ჩემპიონი, რომელიც 25-ე ტურში პირველ ადგილზე იყო. 2002 წელს მხოლოდ „ლევერკუზენმა“ ვერ შეძლო პირველი ადგილის შენარჩუნება და ბუნდესსასალათე დორტმუნდის „ბორუსიას“ ერგო.

ასე რომ, სტატისტიკაც „შალკეს“ სასარგებლოდ მეტყველებს და ახლა ყველაფერი რალფ რანგნიკის გუნდზეა დამოკიდებული.

**მაჟა ხუციშვილი**

**ბუნდესლიგის ბოლო ათი სეზონის ჩემპიონები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1995 | დორტმუნდი | 2000 | ბაიერნი |
| 1996 | დორტმუნდი | 2001 | ბაიერნი |
| 1997 | ბაიერნი | 2002 | დორტმუნდი |
| 1998 | კაიზერსლაუტერნი | 2003 | ბაიერნი |
| 1999 | ბაიერნი | 2004 | ვერდერი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 25 | 17 | 2 | 6 | 40:27 | 53 |
| ბაიერნი | 25 | 15 | 5 | 5 | 46:24 | 50 |
| შტუტგარტი | 25 | 13 | 6 | 6 | 45:30 | 45 |
| ვერდერი | 25 | 13 | 5 | 7 | 53:27 | 44 |
| ჰამბურგი | 25 | 14 | 1 | 10 | 45:39 | 43 |
| ჰერტა | 25 | 10 | 11 | 4 | 43:24 | 41 |
| ლევერკუზენი | 25 | 11 | 7 | 7 | 45:34 | 40 |
| ვოლფსბურგი | 25 | 12 | 1 | 12 | 40:36 | 37 |
| ლაუტერნი | 25 | 10 | 6 | 9 | 33:32 | 36 |
| ჰანოვერი | 25 | 9 | 5 | 11 | 27:29 | 32 |
| არმინია | 25 | 9 | 5 | 11 | 30:34 | 32 |
| დორტმუნდი | 25 | 8 | 8 | 9 | 29:34 | 32 |
| ნიურნბერგი | 25 | 7 | 7 | 11 | 43:47 | 28 |
| გლადბახი | 25 | 7 | 7 | 11 | 27:39 | 28 |
| მაინცი | 25 | 7 | 6 | 12 | 32:40 | 27 |
| ჰანზა | 25 | 4 | 8 | 13 | 22:48 | 20 |
| ბოხუმი | 25 | 4 | 7 | 14 | 30:53 | 19 |
| ფრაიბურგი | 25 | 3 | 7 | 15 | 20:53 | 16 |

## დაჩაგრული კიევო და იუვენტუსის ექვსიდან ექვსი

**იტალია**

**სერია A. XXVIII ტური**

**კიევო 0:1 იუვენტუსი**

0:1 ოლივერა (87)
**კიევო:** მარკეჯანი, მანდელი, დანა, ლანა, პოტენცა, ლუსიანო, სამარკო, ბარონიო (ბრიგი 87), სემიოლი (დ. ფრანჩესკინი 76), ძანკეტა (ფ. კოსატო 46), პელისიერი
**მწვრთნელი:** მარიო ბერეტა
**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ზალაიეტა, დელ პიერო (ოლივერა 77), ტრეზეგე (იბრაჰიმოვიჩი 59)
**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო
**გაფრთხილება:** კამორანეზი, ძებინა, დანა, კოსატო, ოლივერა
**გაძევება:** ოლივერა (87), პოტენცა (87)
**მსაჯი:** პაპარესტა
24 514 მაყურებელი



ტურინელთა სიხარული დიდია — რუბენ ოლივერამ გამარჯვებისა შეაგდო

**„იუვენტუსმა“** „სტადიო ბენტეგოდიზეც“ 4-3-3 სისტემით ითამაშა. ტურინელთა თავკაცმა ფაბიო კაპელომ ამჯერად ზლატან იბრაჰიმოვიჩის დასვენება გადაწყვიტა და მის ნაცვლად ძირითადში დავიდ ტრეზეგე გაიყვანა. ფრანგს მხარს „რეალთან“ მატჩის გმირი მარსელო ზალაიეტა უმაგრებდა, რომელმაც შეუცვლელად იბურთავა, ხოლო მათ უკან ალექს დელ პიერო მოქმედებდა.

„ბებერ ქალბატონს“ მადრიდელებთან გადატანილი მომქანცველი ბრძოლა აშკარად ეტყობოდათ. ტურინელებმა მთელი შეხვედრა ინერტულად ჩაატარეს და ძალიან მალე დაიღალნენ.

სტუმრებმა კარგად დაიწყეს. ჯერ ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი დელ პიეროს აქტიურობას მოჰყვა, შემდეგ კი ტრეზეგეს აკრობატულ ნახტომში დარტყმული ბურთი ასცდა ლუკა მარკეჯანის კარს.

პირველ ტაიმში მეტი აღსანიშნავი არაფერი მომხდარა, მატჩის მეორე ნახევარი კი გაცილებით მწვავე და საინტერესო საცქერი გამოდგა.

მასპინძელთა თამაში აშკარად გამოასწორა მოედანზე ფედერიკო კოსატოს გამოჩენამ. მან ტრავმა ახლახან მოიშუშა და სრულად სათამაშოდ ჯერ მზად არ არის.

მეორე ტაიმი არც ისე დიდი ხნის დაწყებული იყო, როცა სერჯო პელისიერის მიერ საკმაოდ შორიდან დარტყმული ბურთი „იუვეს“ კარის ხარიხას მოხვდა და აშკარად შიგნით დაეცა, რის შემდეგაც უკან გამოვარდა და ბუფონის ხელებში მოექცა. კიევოელები უკვე გოლის აღსანიშნავად ემზადებოდნენ, მაგრამ შეხვედრის მთავარმა არბიტრმა ჯანლუკა პაპარესტამ და ლაინსმენმა მატჩის გაგრძელება ბრძანეს და არც მასპინძელთა პროტესტი უღიათ ყურად.

თავის მხრივ, თამაშის გაძლიერება კაპელომაც სცადა და ტრეზეგე იბრაჰიმოვიჩით შეცვალა, ხოლო 76-ე წუთზე დელ პიეროს ნაცვლად მინდორზე რუბენ ოლივერა შეუშვა, რამაც საბოლოოდ გაამართლა კიდეც.

87-ე წუთზე „მფრინავი ვირების“ საჯარიმოში არეულობა შეიქნა, რითაც სწორედ ოლივერამ ისარგებლა და მთელი შეხვედრის განმავლობაში დამაჯერებლად მოთამაშე მარკეჯანი დაამწუხრა.

ამ ეპიზოდიდან რამდენიმე წამში ურუგვაელი მასპინძელთა მცველ ალესანდრო პოტენცას ყელში სწვდა და ლამის დაახრჩო, რისთვისაც დაუყოვნებლივ გააძევეს მინდვრიდან, თუმცა მას გაბრაზებული პოტენცაც მიჰყვა, რომელმაც თავი ვერ შეიკავა და ოლივერას საქციელი პაპარესტასთან ემოციურად გააპროტესტა.

ერთი სტიყვით, „იუვენტუსმა“ უმძიმეს ბრძოლაში მოიპოვა მორიგი მნიშვნელოვანი 3 ქულა და ცხრილის სათავეში გამაგრებულ ჩემპიონ „მილანს“ ისევ მიუჩოჩდა.

„წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩაგვითვალეს, ასე იყო წინა ტურშიაც. აუცილებლად რადიკალური ზომებია მისაღები, რათა ასეთი რამ აღარ განმეორდეს. მთლიანობაშიც მსაჯობით და მატჩის შედეგით ძალიან უკმაყოფილო ვარ. წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით“ — აღნიშნა „კიევოს“ თავკაცმა მარიო ბერეტამ.

ფაბიო კაპელო გუნდის თამაშით აღფრთოვანებული არ იყო, მაგრამ თავისი ახალი სქემის წარმატებულობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი: „მიხარია, რომ კონცენტრაცია ბოლომდე შევინარჩუნეთ და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. ვაღიარებ, „კიევოს“ სუფთა გოლი არ ჩაუთვალეს, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ბურთში გადამცემი უნდა დამონტაჟდეს, რათა ამგვარი გაუგებრობები თავიდან ავიცილოთ. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ 4-3-3 სისტემით მეექვსე შეხვედრა ჩავატარეთ და მეექვსედ მოვიგეთ“.

**გიორგი ძაძაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 28 | 19 | 6 | 3 | 47:17 | 63 |
| იუვენტუსი | 28 | 19 | 6 | 3 | 46:16 | 63 |
| ინტერი | 28 | 10 | 17 | 1 | 50:33 | 47 |
| სამპდორია | 28 | 14 | 5 | 9 | 31:21 | 47 |
| უდინეზე | 28 | 13 | 6 | 9 | 41:28 | 45 |
| პალერმო | 28 | 11 | 10 | 7 | 31:26 | 43 |
| რომა | 28 | 10 | 8 | 10 | 46:43 | 38 |
| ბოლონია | 28 | 9 | 10 | 9 | 28:26 | 37 |
| კალიარი | 28 | 10 | 7 | 11 | 41:45 | 37 |
| ლეჩე | 28 | 9 | 9 | 10 | 48:49 | 36 |
| რეჯინა | 28 | 9 | 8 | 11 | 28:33 | 35 |
| ლივორნო | 28 | 9 | 8 | 11 | 31:37 | 35 |
| მესინა | 28 | 9 | 8 | 11 | 32:40 | 35 |
| ლაციო | 28 | 9 | 7 | 12 | 35:38 | 34 |
| ფიორენტინა | 28 | 7 | 10 | 11 | 29:37 | 31 |
| პარმა | 28 | 7 | 8 | 13 | 30:45 | 29 |
| კიევო | 28 | 7 | 7 | 14 | 21:39 | 28 |
| ბრეშა | 28 | 7 | 5 | 16 | 23:37 | 26 |
| სიენა | 28 | 4 | 14 | 10 | 27:42 | 26 |
| ატალანტა | 28 | 4 | 9 | 15 | 24:37 | 21 |

# სმიტს სახლში არ უშვებენ



**2 მაისს** ლიდსის „ელანდ როუდზე" ლუკას რადებეს საბენეფისო ამაში, თესთიმონიალი გაიმართება. „ლიდსის" ძველ კაპიტანს, რომელსაც 10 წელი გაუტარებია იორკშირულ კლუბში დიდ გაცილებას უწყობენ.

ალან სმიტიც, აწ მანჩესტერელი, მაგრამ ტომით, თამაშითა და სულით ლიდსელი, მიწვეული იყო ამ თამაშზე და თვითონაც ძალიან უნდოდა მშობლიურ ბალახზე ბურთის გაგორება, ოღონდაც, თამაშის მომწყობმა კომიტეტმა სმიტს ურჩია, რომ ამ თამაშზე ლიდსში არ ჩასულიყო.

მიზეზს არ იკითხავთ? უსაფრთხოება: ფანებს თურმე ჯერაც არ უპატიებიათ თავდამსხმელისთვის დამცრობილი „ლიდსიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა.

კომიტეტს პოლიციასთან სწორედ ამ საკითხზე უთათბირია და იმ დასკვნამდე მისულა, რომ სმიტის „ელანდ როიდზე" გამოსვლა მისი პერსონისთვის გვარიან რისკს შეიცავს.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XXV ტური

გრაცერი — ბრეგენცი 2:0; მატერსბურგი — ტიროლი 1:1; პაშინგი — შტურმი 2:1; ზალცბურგი — ადმირა 0:1; აუსტრია — რაპიდი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაშინგი | 23 | 15 | 2 | 6 | 42:30 | 47 |
| აუსტრია | 23 | 13 | 6 | 4 | 43:14 | 45 |
| რაპიდი | 22 | 12 | 7 | 3 | 39:17 | 43 |
| გრაცერი | 24 | 12 | 5 | 7 | 34:22 | 41 |
| ტიროლი | 25 | 8 | 8 | 9 | 38:37 | 32 |
| მატერსბურგი | 25 | 8 | 6 | 11 | 34:41 | 30 |
| ადმირა | 23 | 8 | 3 | 12 | 27:39 | 27 |
| შტურმი | 25 | 7 | 5 | 13 | 22:35 | 26 |
| ზალცბურგი | 24 | 5 | 6 | 13 | 26:36 | 21 |
| ბრეგენცი | 24 | 4 | 6 | 14 | 23:57 | 18 |

### I დივიზიონი. XXV ტური

რიდი — აუსტრია (ლ) 2:1. *ალტახი — ლინცერი, უნტერზიბენბრიუნი — გრატკორნი, ლეობენი — კერნტენი და ვიორგლი — კაპფენბერგი გადაიდო*

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. XIV ტური

ლეგია — პოგონი 3:0; ვისლა — კატოვიცე 1:0; გროცლინი — პოლონია 5:0. *ტურის დანარჩენი მატჩები დიდთოვლობის გამო გადაიდო და საერთოდ, ჩემპიონატში აპრილამდე შესვენება გამოცხადდა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 14 | 12 | 2 | 0 | 45:8 | 38 |
| ლეგია | 14 | 9 | 3 | 2 | 23:11 | 30 |
| გროცლინი | 14 | 9 | 1 | 4 | 27:16 | 28 |
| ამიცა | 13 | 7 | 3 | 3 | 19:12 | 24 |
| ზაგლებე | 13 | 5 | 4 | 4 | 22:22 | 19 |
| კრაკოვია | 13 | 5 | 3 | 5 | 20:14 | 18 |
| პოლონია | 14 | 5 | 3 | 6 | 15:26 | 18 |
| პლოცკი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:20 | 17 |
| პოგონი | 14 | 4 | 3 | 7 | 19:30 | 15 |
| გურნიკი | 13 | 3 | 4 | 6 | 17:17 | 13 |
| ოდრა | 13 | 4 | 1 | 8 | 14:18 | 13 |
| ლეჩნა | 13 | 4 | 0 | 9 | 13:23 | 12 |
| ლეხი | 13 | 3 | 3 | 7 | 16:27 | 12 |
| კატოვიცე | 14 | 2 | 2 | 10 | 13:36 | 8 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXI ტური

გრასჰოპერი — ქსამაქსი 1:1; თუნი — ბაზელი 3:0; შაფჰაუზენი — სენტ გალენი 0:0; ციურიხი — იანგ ბოისი 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 21 | 11 | 5 | 5 | 41:27 | 38 |
| ქსამაქსი | 21 | 9 | 6 | 6 | 29:24 | 33 |
| თუნი | 19 | 9 | 4 | 6 | 29:18 | 31 |
| ციურიხი | 21 | 8 | 5 | 8 | 28:30 | 29 |
| იანგ ბოისი | 20 | 7 | 7 | 6 | 37:30 | 28 |
| გრასჰოპერი | 21 | 5 | 9 | 7 | 19:32 | 24 |
| აარაუ | 19 | 6 | 5 | 8 | 27:28 | 23 |
| სენტ გალენი | 20 | 5 | 8 | 7 | 26:30 | 23 |
| სერვეტი | 18 | 6 | 5 | 7 | 24:28 | 20 |
| შაფჰაუზენი | 20 | 3 | 8 | 9 | 21:34 | 17 |

*„სერვეტს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ჩელენჯლიგა. XXII ტური

ლუგანო — კრინსი 0:0; კიასო — იუვენტუსი 2:0; მეირინი — ვინტერთური 2:0; ვადუცი — შო დე ფონი 0:1; ივერდონი — ბოლში 0:0; კონკორდია — ვოლენი 2:0; ლუცერნი — ბელინცონა 3:1; სიონი — ბადენი 4:0. *ბულე — ვილი გადაიდო*

## ინგლისი

### ასოციაციის თასი
### ნახევარფინალის წილისყრა

**არსენალი — ბლეკბერნი**

**ნიუკასლი — მანჩესტერი**

*მატჩები გაიმართება 16-17 აპრილს*

## ჩეხეთი

### სუპერლიგა. XIX ტური

ბლშანი — ბანიკი 0:2; ტეპლიცე — იაბლონეცი 0:0; ბუდეიოვიცე — სპარტა 1:2; სლოვაცკო — დრნოვიცე 2:1; პრჟიბრამი — სიგმა 0:0; ოპავა — ბრნო 2:0; ლიბერეცი — ზლინი 1:1; სლავია — ბოლესლავი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 19 | 15 | 3 | 1 | 39:13 | 48 |
| სლავია | 18 | 9 | 5 | 4 | 27:16 | 32 |
| ტეპლიცე | 18 | 8 | 8 | 2 | 17:13 | 32 |
| ლიბერეცი | 17 | 8 | 6 | 3 | 26:10 | 30 |
| იაბლონეცი | 18 | 7 | 7 | 4 | 19:15 | 28 |
| სიგმა | 18 | 8 | 3 | 7 | 19:18 | 27 |
| სლოვაცკო | 19 | 6 | 8 | 5 | 17:14 | 26 |
| ბანიკი | 18 | 6 | 7 | 5 | 21:22 | 25 |
| ზლინი | 18 | 5 | 7 | 6 | 18:22 | 22 |
| ბრნო | 18 | 5 | 4 | 9 | 14:26 | 19 |
| ბლშანი | 19 | 5 | 4 | 10 | 15:28 | 19 |
| ოპავა | 18 | 4 | 6 | 8 | 19:23 | 18 |
| დრნოვიცე | 17 | 4 | 5 | 8 | 18:22 | 17 |
| ბოლესლავი | 18 | 3 | 8 | 7 | 18:23 | 17 |
| პრჟიბრამი | 17 | 4 | 4 | 9 | 15:29 | 16 |
| ბუდეიოვიცე | 18 | 2 | 5 | 11 | 15:23 | 11 |

## დანია

### სუპერლიგა. XIX ტური

ვიბორგი — ორჰუსი 2:1; ოდენსე — ესბიერგი 0:1; კოპენჰაგენი — მიდტიულანდი 4:0; ბრონდბიუ — ოლბორგი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 19 | 13 | 5 | 1 | 32:11 | 44 |
| მიდტიულანდი | 19 | 10 | 3 | 6 | 29:28 | 33 |
| ოდენსე | 19 | 9 | 3 | 7 | 42:24 | 30 |
| კოპენჰაგენი | 19 | 8 | 6 | 5 | 33:27 | 30 |
| ვიბორგი | 19 | 8 | 6 | 5 | 23:19 | 30 |
| ესბიერგი | 19 | 7 | 5 | 7 | 36:31 | 26 |
| ოლბორგი | 19 | 7 | 5 | 7 | 29:26 | 26 |
| ორჰუსი | 19 | 7 | 5 | 7 | 32:33 | 26 |
| სილკებორგი | 18 | 6 | 3 | 9 | 28:33 | 21 |
| ნორდსიელანდი | 18 | 4 | 4 | 10 | 22:37 | 16 |
| რანდერსი | 18 | 3 | 5 | 10 | 20:34 | 14 |
| ჰერფიოლგე | 18 | 4 | 2 | 12 | 15:38 | 14 |

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. XVI ტური

ფერენცვაროში — დიორ ეტო 0:1; ტატაბანია — დიოშდიორი 1:2; ვაშაში — კაპოშვარი 2:1; უიპეშტი — ვიდეოტონი 3:0; დებრეცენი — შონვედი 2:0; პეჩი — ზალაეგერსეგი 1:0. *შოპრონი — მტკ და ბეკეშჩაბა — ნირედიჰაზა გადაიდო*

## ხორვატია

### ნაციონალ ლიგა. XX ტური

დინამო — კამენი 2:1; ინტერი — პულა 0:0; ზადარი — სლავენი 1:5; ვარტექსი — ზაგრები 1:0; ოსიეკი — მედიმურიე 0:0; რიეკა — ჰაიდუკი 2:0

## იაპონია

### ჯეი ლიგა
### II ტური

ვერდი — შიმიცუ 0:0; ომია — კობე 1:1; კაშიმა — გამბა 2:2; კავაზაკი — ურავა 3:3; სერეზო — იოკოჰამა 2:3; ჰიროშიმა — ტოკიო 0:0; იჩიჰარა — კაშივა 2:2; ნიიგატა — ოიტა 2:1; ივატა — ნაგოია 0:3

## სლოვენია

### სი მობილ ლიგა. XIX ტური

პრიმორიე — დომზალე 3:1; ოლიმპია — ნოვა გორიცა 2:3; მარიბორი — ლიუბლიანა 0:2; ბელა კრაინა — პუბლიკუმი 2:1; მურა — კოპერი 1:3; ზაგორიე — დრავა 0:1

## არგენტინა

### კლაუსურა. V ტური

ხიმნასია — ბოკა ხუნიორსი 0:1; კოლონი — კილმესი 2:1; ურაკანი — ალმაგრო 1:1; ინსტიტუტო — ესტუდიანტესი 0:3; როსარიო — ლანუსი 3:3; რივერ პლეიტი — რასინგი 1:0; ველესი — სან ლორენსო 2:0; ინდეპენდიენტე — ოლიმპო 1:1; ბანფილდი — ოლდ ბოიზი 0:1; არგ. ხუნიორსი — არსენალი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:6 | 13 |
| როსარიო | 5 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 11 |
| ესტუდიანტესი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| ოლდ ბოიზი | 5 | 2 | 3 | 0 | 4:1 | 9 |
| რასინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 4:2 | 9 |
| ლანუსი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| არგ. ხუნიორსი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| არსენალი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ველესი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| კილმესი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:3 | 7 |
| ოლიმპო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| ბოკა ხუნიორსი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ინდეპენდიენტე | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 6 |
| ხიმნასია | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| კოლონი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| ალმაგრო | 5 | 0 | 3 | 2 | 5:9 | 3 |
| ინსტიტუტო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |
| სან ლორენსო | 5 | 1 | 0 | 4 | 6:12 | 3 |
| ურაკანი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| ბანფილდი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XVIII ტური

დინამო — ობოლონი 3:1; ჩერნომორეცი — არსენალი 1:0; მეტალურგი (დ) — ბორისფენი 1:3; ტავრია — ვორსკლა 4:0; ვოლინი — კრივბასი 3:1; ილიჩევეცი — მეტალისტი 1:1. *ზაკარპატია — შახტარი და დნიპრო — მეტალურგი (ზ) გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 15 | 2 | 1 | 40:8 | 47 |
| შახტარი | 17 | 15 | 0 | 2 | 35:9 | 45 |
| მეტალურგი (დ) | 18 | 11 | 2 | 5 | 26:20 | 35 |
| ვოლინი | 18 | 9 | 4 | 5 | 26:21 | 31 |
| ჩერნომორეცი | 18 | 9 | 3 | 6 | 19:14 | 30 |
| დნიპრო | 17 | 8 | 5 | 4 | 23:19 | 29 |
| ტავრია | 18 | 6 | 4 | 8 | 17:18 | 22 |
| ილიჩევეცი | 18 | 5 | 7 | 6 | 25:24 | 22 |
| მეტალისტი | 18 | 6 | 3 | 9 | 19:26 | 21 |
| არსენალი | 18 | 5 | 5 | 8 | 18:24 | 20 |
| კრივბასი | 18 | 4 | 7 | 7 | 13:20 | 19 |
| ვორსკლა | 18 | 5 | 3 | 10 | 8:21 | 18 |
| მეტალურგი (ზ) | 17 | 3 | 8 | 6 | 12:18 | 17 |
| ზაკარპატია | 17 | 2 | 6 | 9 | 11:21 | 12 |
| ობოლონი | 18 | 2 | 6 | 10 | 10:28 | 12 |
| ბორისფენი | 18 | 1 | 7 | 10 | 19:21 | 10 |

## მექსიკა

### კლაუსურა. IX ტური

კრუზ ასული — პაჩუკა 4:0; ხაგუარესი — მონტერეი 1:1; დორადოსი — უნამი 2:1; ტიგრესი — ტოლუკა 6:0; ატლასი — ატლანტე 2:2; პუებლა — ნეკაქსა 0:1; სანტოსი — მორელია 3:1; ტეკოსი — ვერაკრუსი 1:1; ამერიკა — გვადალახარა 3:3

## სერბეთი

### პრვა ლიგა. XIX ტური

ბორაცი — ოფკ 0:2; ბუდუჩნოსტი — ჰაიდუკი (ბ) 4:0; ცრვენა ზვეზდა — ვოივოდინა 3:0; ჟელეზნიკი — ზემუნი 1:0; ჰაიდუკი (კ) — პარტიზანი 0:1; რადნიჩკი — ჩუკარიჩკი 3:0; სარტიდი — სუტიესკა 1:1. *ობილიჩი — ზეტა გადაიდო*



# რომის მეოთხე იმპერატორი
## ოლიმპიკოზე კონტი ჰპოვეს

**გუშინ** „რომას" მწვრთნელი შეუცვალეს: ლუიჯი დელ ნერის ნაცვლად, ამიერიდან „ჯალოროსის" მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი ბრუნო კონტი გაწვრთნის.

ამრიგად, „კიევოს" ყოფილი ხელმძღვანელი დელ ნერი მეოთხე სპეციალისტია, რომელმაც ბოლო ათ თვეში „რომას" თავკაცის სკამი დატოვა. დელ ნერის გაშვებას წინ უძღოდა კვირას, სარდინიაზე, „კალიარისთან" 0:3 დამარცხება.

რომაელთა აღმასრულებელმა შეფმა როზელა სენსიმ ბუნებრივია, ოფიციალურ განცხადებაში მადლობა გადაუხადა დელ ნერის გაწეული შრომისთვის და ხაზი გაუსვა, რომ მხარეებს შორის კონტრაქტი ორმხრივი თანხმობით გაუქმდა.

„მე სავსებით ბედნიერი და აღელვებული ვარ" — განაცხადა კონტიმ, რომელიც აქამდე „რომას" ახალგაზრდულ გუნდს ედგა სათავეში.

ეჭვი არ არის, ყოფილი გმირის (1973-1990) გამწვრთნელება „სტადიო ოლიმპიკოს" ქომაგებში დიდ მოწონებას ჰპოვებს.

**პაპუნა ქედია**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „არსენალის" ფორვარდ ტიერი ანრის თქმით, მიუხედავად მისი გუნდის ცუდი თამაშისა და სხვა კლუბებისგან მიღებული წინადადებებისა, იგი არსად წასვლას არ აპირებს. „როდესაც „მეთოფეებში" ჩავირიცხე, ერთი ჩვეულებრივი მოთამაშე ვიყავი. ახლა კი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი ვარ. ვფიქრობ, ლონდონელთა ამაგს გადახდა უნდა. თან გუნდის დატოვება ჩემს გეგმებში არანაირად არ შედის" — განაცხადა ანრიმ.

**ბელგიური** „მუსკრონის" თავკაცის პოსტი ფილიპ სენ-ჟანმა დატოვა. მის მოვალეობას კი დროებით სარეზერვო გუნდის მწვრთნელი გერტ ბრეკპარტი შეასრულებს. სავარაუდოდ, წარმატებული მუშაობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს თანამდებობას შეუნარჩუნებენ. „მუსკრონის" მთავარი ამოცანა კი იუპილერლიგაში დარჩენაა.

**პორტუგალიელი** სპეციალისტი ჟოზე მაურინიუ გასულ შაბათს „ინტერისა" და „ლაციოს" მატჩს დაესწრო. მისი თქმით, იგი ხუან სებასტიან ვერონს აკვირდებოდა და არგენტინელის დაბრუნებაზე ფიქრობს, თუმც თავად ვერონმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, მაურინიუს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ „ჩელსიში" დაბრუნება არ მინდა. მილანში თავს კარგად ვგრძნობ და იმედია, „ინტერის" უფროსობაც ლონდონელებთან შეთანხმებას შეძლებსო.

**ინგლისური** „ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ უელსელ კრეიგ ბელამის გუნდში დაბრუნების შანსი არ აქვს. „მიკლია, მწვრთნელი საჯაროდ დაადანაშაულო ტყუილში და მასთან ერთად მუშაობის გაგრძელების იმედი გქონდეს. მისი შეძენის მთავარი კანდიდატი, ბუნებრივია, „სელტიკია", მაგრამ მჯერა, მსურველები კიდევ მრავლად იქნებიან, რადგანაც კრეიგი დიდი ფეხბურთელია" — თქვა „კაჭკაჭთა" თავმჯდომარემ ფრედი შეპარდმა.

**ჰოლანდიურმა** „ფეიენოორდმა" ფორვარდ დირკ კუიტთან კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა. „ძალიან მსიამოვნებს, რომ კლუბი ასე მენდობა და ახალ შეთანხმებასაც დაუფიქრებლად მოვაწერე ხელი. იმედია, წინ დიდი წარმატებები გველის" — აღნიშნა კმაყოფილმა კუიტმა.

**ფრანგულ** „ლიონს" თავის ლიდერებთან, ჟუნინიო პერნამბუკანოსთან და მიკაელ ესიენთან კონტრაქტის გახანგრძლივება უნდა. როგორც ირკვევა, მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. ჟუნინიოს მოქმედ ხელშეკრულებას ვადა 2006 წლის ზაფხულში გასდის, ხოლო ესიენისას ორი წლის მერე.

**ინგლისური** „ლივერპულის" ავსტრალიელი გარემარბი ჰარი კიუელი სავარაუდოდ სეზონის ბოლომდე მინდორზე ვეღარ გავა. ექიმებმა მას ურჩიეს, სრული სარეაბილიტაციო კურსი ჩაიტაროს. ამ პროცესს კი სულ მცირე სამი თვე დასჭირდება. ბრიტანული პრესის ცნობით, კიუელმა უკვე გადაწყვიტა მედიკოსების ნებას დაჰყვეს და მკურნალობა დაიწყოს.

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

# მოთმინებითა შენითა, მოიპოვე სულიერება შენი

## მარადონა დიდი მატჩისთვის ემზადება



„**მე მარადონას** 16 წლიდან ვიცნობ და მერწმუნეთ, დიდი ხანია, იგი ასე იმედიანად არ მინახავს. მას შემდეგ, რაც წონაში დასაკლებად ოპერაცია გაიკეთა, სამყაროს სხვა თვალით უყურებს" — განაცხადა ალფრედო კაემ, დიეგო მარადონას პირადმა ექიმმა გუშინ არგენტინული „ოლესადმი" მიცემულ ინტერვიუში.

კაე ლაპაროსკოპიული ოპერაციის შედეგით, როგორც თავად ამბობს, უკიდურესად კმაყოფილია და იმედი აქვს, რომ უტეხი ხასიათით ცნობილი მარადონა ღვთის შეწევნით სულიერ სიმშვიდეს მალე დაიბრუნებს. „ოპერაციამ შესანიშნავად ჩაიარა და დიეგო ახლა ჯერარნახული, უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის ემზადება — იგი თავის თავს უნდა შეებრძოლოს და გაიმარჯვოს. პირადად მე დიეგოს ხასიათის სიმტკიცისა მჯერა" — დასძენს კაე.

შეგახსენებთ, ქირურგიულ ჩარევამდე ლეგენდარული არგენტინელი 121 კილოგრამს იწონიდა, კოლუმბიელ ექიმთა წყალობით კი ერთ წელიწადში სულ ცოტა, 75 კილომდე უნდა შემსუბუქდეს.

„დიახაც მე ვურჩიე, მას სწორედ კარტახენას „მედიჰელპის" კლინიკაში გაეკეთებინა ოპერაცია. იქ ბრწყინვალე სპეციალისტები მუშაობენ, მარტო ამერიკის შეერთებული შტატებიდან დღეში 4-5 ჭარბი წონით შეწუხებული კაცი ჩამოდის" — განმარტავს სენიორ კაე. ხოლო რაც შეეხება მარადონას სპეციალურ დიეტას, ექიმი ამბობს: „თქვენი აზრით, დიეგო ცხოვრების ბოლომდე მარტო თხევად საკვებს მიიღებს? ცდებით, თუ ასე ფიქრობთ. მარადონა საყოველთაოდ ცნობილი გურმანია და გარკვეული ხნის შემდეგ საყვარელ კერძებს ისევ მიირთმევს. ოღონდ, ახლა უკვე ზომიერად".

# რომარიო ინგლისში მიდის

## მეათასე გოლს იქ გაიტანს



**ბრაზილიური** ფეხბურთის და კატალონიური „ბარსელონას" ბლეგენდა რომარიო მომავალი სეზონიდან კარიერას ინგლისურ სამოყვარულო კლუბ „ჰერფორდ თაუნში" გააგრძელებს.

ეს სენსაციური ცნობა გუშინ ზემოხსენებული გუნდის საინტერნეტო ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, სადაც ასეთი რამ წერია: „ჰერფორდს" წილად ხვდა ბედნიერება, რომ ბრაზილიელმა ლეგენდამ რომარიომ 2005-2006 წლების სეზონში „მერსტონ სტადიუმზე" ითამაშოს". ამრიგად, 39 წლის ვეტერანი საფეხბურთო სიბერის ჟამს ბედთან ჭიდილს ნისლიან ალბიონზე შეეცდება.

„ჰერფორდი" ქალაქ ლიდსის გუნდია, მისი პრეზიდენტი კი საიმონ კლიფორდი გახლავთ, ინგლისელი მილიონერი, ბურთაობის არაორდინალურ სტილზე შეყვარებული კაცი, რომელმაც თავისი ბრაზილიური სიმპათიები 2004 წლის ნოემბერში კლუბში ლეგენდარული სოკრატესის მიწვევით დაამტკიცა.

ახლა რომარიო „ვასკუ და გამას" წევრია და იქაურთა პრეზიდენტი ენრიკო მირანდაც საქვეყნოდ აცხადებს — ჯერ მაგისი ინგლისური თავგადასავლებისას ვერაფერს გეტყვით. მთავარია, საამსეზონოდ დღევანდელ გუნდს მოეხმაროსო.

„ჯერჯერობით ათასგოლიანი ბარიერი არ გადამილახავს. ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებ, პირიქით, ბრაზილიაშიც და სხვაგანაც უფრო მეტი მონდომებით ვითამაშებ, რათა ძველი რეკორდები დავამხო" — ამბობს რომარიო.



# ღმერთი გასაჭირში არავის მიატოვებს

## რობინიომ და გრაფიტემ ლუის ფაბიანო ანუგეშეს

**ბანდიტთა** მიერ „პორტუს" თავდამსხმელ ლუის ფაბიანოს დედის გატაცებამ ბრაზილიაში ცხადია, ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

მოგეხსენებათ, სანტოსელი რობინიოსა და „სან პაულუს" მოიერიშეს გრაფიტეს შემდეგ, ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა ბრაზილიაში ფეხბურთელთა მშობლებს იტაცებენ. მაშინ რობინიოს დედა ორმოცდაერთდღიანი ტყვეობის შემდეგ გათავისუფლდა, ხოლო სენიორა ჟულია პასეირა (გრაფიტეს დედა) პოლიციამ ორი კვირის წინ, გატაცებიდან მეორე დღესვე დაიხსნა.

დღეს კი ჭირ-ვარამ გამოვლილი ბიჭები უკვე სასოწარკვეთილ ლუის ფაბიანოს უთანაგრძობენ. „კარგად ვიცი, ეს ყოველივე რა საშინელებაცაა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც დედაჩემი არ იყო, მკვდარივით ვიყავი და ირგვლივ ყველაფერი კოშმარული სიზმარი მეგონა. საბედნიეროდ, ახლა ეს უკვე წარსულია, რომლის დავიწყებასაც თავგამოდებით ვცდილობ. მესმის, რომ ფაბიანოს ვერაფრით ვანუგეშებ, მაგრამ მას მაინც მოთმინებას ვურჩევდი — ღმერთი გასაჭირში არავის მიატოვებს" — განაცხადა რობინიომ ერთ-ერთი ბრაზილიური ტელეარხით გამოსვლისას.

„ლუისი ახლა მძიმე დღეშია და თუ ჩემი სიტყვები მისთვის რაიმეს ნიშნავს, ვეტყოდი, რომ მომავლის იმედი არ დაკარგოს. ჩვენ კი დავფიქრდეთ, სადამდე შეიძლება შიშსა და ტერორში ყოფნა?" — იკითხა გაღიზიანებულმა გრაფიტემ.

თავად შეძრწუნებული ლუის ფაბიანო. სულ რამდენიმე წუთით შეჩერდა ტელეკამერების წინ და მედიის წარმომადგენლებს სთხოვა, რომ 45 წლის სანდრა ელენა კლემენტეს გამოსახსნელი ოპერაციის დეტალები გასაგები მიზეზების გამო ფართოდ არ გაეშუქებინათ.

# ისიც ხომ ბრაზილიელია...

## პრეზიდენტები დარბიან, პრეზიდენტებს იღებენ

**გასულ** უქმეებზე ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულა და სილვამ და მისმა პატივცემულმა მინისტრებმა ფრიად იხალისეს. სეუ ლულამ საფეხბურთო მაისურა მოირგო და ლეგენდარული თანამემამულის, სოკრატესის მხარდამხარ გვარიანად იბურთავა. თამაში ნახევარ საათს გაგრძელდა და მასში სოკრატესის უმცროსი ძმა რაიც მონაწილეობდა, რომელსაც თავის დროზე „ბოტაფოგოს", „სან პაულუსა" და ფრანგული „პარი სენ ჟერმენის" რიგებში უთამაშია.

ამ სახალისო იდეის ინიციატორები კი ფერნანდუ ჟოზე და სილვა და რეინალდუ ვოლპეტუ იყვნენ, ცნობილი რიოელი კინორეჟისორები. ისინი სოკრატესის ცხოვრებაზე ბიოგრაფიულ ფილმს იღებენ, რომლის ერთ-ერთი სახალისო ეპიზოდთაგანი ტრუს-მაისურიანი პრეზიდენტისა და მისი მისი მინისტრების კადრში გამოჩენა იქნება.

„ვფიქრობ, რომ ფილმი კარგი უნდა გამოვიდეს. მასში ბრწყინვალე სოკრატესის თამაშისა და ცხოვრების ახალი, აქამდე უცნობი დეტალების ჩვენებას ვაპირებთ" — ალნიშნავს რეინალდუ ვოლპეტუ, კინოპროექტის ერთ-ერთი ავტორი.

„ჩემთვის სოკრატესის გვერდით თამაში უდიდესი პატივია, იგი არამარტო შესანიშნავი ფეხბურთელი, არამედ ბრაზილიის ეროვნული სიამაყეც არის და ამიტომ ფილმში მონაწილეობაზე სიამოვნებით დავთანხმდი" — განაცხადა ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულა და სილვამ.

როგორც იქაური მედია გვამცნობს, ქვეყნის პრეზიდენტი თამაშში მატჩის მიწურულს ჩაება და ბოლო 10 წუთი თავდაუზოგავად ბურთაობდა, რაც ცხადია, არავის გაჰკვირვებია, ისიც ხომ ბრაზილიელია...

...და ან ცაზე ვარსკვლავები

# გაბრიელ ომარ ბატისტუტა

# შავი მანქანით წაყვანილი ბატიგოლი მოედნიდან გავიდა

*გაბრიელ ომარ ბატისტუტა დაიბადა 1968 წლის 1 თებერვალს. 2005 წლის 14 მარტს კი მსოფლიო საავენტოებისა და ინტერნეტ საიტების საშუალებით ცნობილი გახდა, რომ ის ფეხბურთიდან მიდის.*

*„მე ვაცხადებ, რომ თამაშს თავს ვანებებ და დიდ მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც ჩემი კარიერა წარმატებული გახადა. აქვე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ფეხბურთში მოღვაწეობას განვაგრძობ, ოღონდ როლს შევიცვლი. აუცილებლად გავაგრძელებ საქმიანობას სამენეჯერო და სარეკლამო სფეროებში, ხოლო სამწვრთნელო საქმეს ბოლომდე შევისწავლი" — განაცხადა არგენტინის ნაკრების ისტორიაში ყველაზე დიდმა ბომბარდირმა, 78 შეხვედრაში 56 გოლის ავტორმა, მსოფლიოს 1994, 1998 და 2002 წლების ჩემპიონატების მონაწილემ, იტალიის 2000 წლის ჩემპიონმა „რომას" შემადგენლობაში, „ფიორენტინას" გმირმა — ადამიანმა, რომელსაც ფლორენციაში ძეგლი დაუდგეს და იმ იშვიათთაგანმა, ვისაც არგენტინის, კერძოდ ბუენოს აირესის ორ ერთმანეთზე გადამტერებულ გოლიათში, „ბოკა ხუნიორსსა" და „რივერ პლეიტში" უთამაშია. ბოლო ორი წლის განმავლობაში გაბრიელ ბატისტუტა ყატარში, „ალ არაბიში" გამოდიოდა*



**„გაბრიელ ბატისტუტას** პაპებს მელხიორი და ნესტორი ერქვათ. ისინი საყვარელ შვილიშვილს თევზის ჭერას და ნადირობას ასწავლიდნენ, მდინარე პარანაზე მიჰყავდათ, ბუნებას აჩვევდნენ, წინააღმდეგობების დაძლევაში ეხმარებოდნენ, კაცად ზრდიდნენ. ბებიებიც თავზე დაჰფოფინებდნენ ბიჭს — აბა, კვება, აბა, დაბანა-დავარცხნა და აბა, საღამო ხანს, ქუჩაში დაკაწრულ-დაფხაჭნილ-გადატყავებულის დაამება. პატარა ძმიკო დების, ელისის, ალეხანდრას და გაბრიელას ზრუნვის საგანიც გახლდათ და ბუნებრივია, ყოველივეს მწვერვალზე მამა ომარი და დედა, გლორია იდგნენ — ეს გახლდათ ერთ მუშტად შეკრული, ბედნიერი ოჯახი ქალაქ რეკონკისტადან.

გადიოდა წლები, მომავალი ვარსკვლავი იზრდებოდა, მაგრამ... თავი ფეხბურთის ვარსკვლავად კი არა, ფეხბურთელადაც კი არ ჰყავდა წარმოდგენილი. მას კალათბურთი უყვარდა, თუმცა მოედანზე, რომელსაც „ილ ლომბრიკოს" ანუ მატლს ეძახდნენ, ბიჭებთან ერთად მაინც დასდევდა ბურთს.

ერთი სიტყვით, „ბატიგოლი" დიდ ფეხბურთში შემთხვევით მოხვდა. საქმე კი ასე იყო: 1987 წლის იანვარში „ნიუელს ოლდ ბოიზის" წარმომადგენელმა (ეს კლუბი ქალაქ როსარიოშია), ალბათ ბედის დავალებით, გაბრიელ ომარი შავ მანქანაში ჩაისვა და გააქანა... იქით, საიდანაც საქვეყნო დიდებისა და სიმდიდრის გზა იწყებოდა.

„სცადე, იქნებ მართლაც გაშალო ფრთები" — წააქეზა ვაჟი მამამაც.

როსარიოში ჩასულმა ბატისტუტამ რა, რა და ერთი კი ნამდვილად მოახერხა: „ნიუელს ოლდ ბოიზის" მწვრთნელს პირველი ვარჯიშებიდანვე მოაწონა თავი, ხოლო „ოლდ ბოიზის" მწვრთნელი არც მეტი, არც ნაკლები, მარსელო ბიელსა გახლდათ. ვფიქრობთ, ბიელსას შეხსენება არ სჭირდება, იგი სწორედ ხოსე პეკერმანის წინ გახლდათ არგენტინის ნაკრების მწვრთნელი და ეს თანამდებობა კარგა ხანს ეკავა.

ამბის გაგრძელება კი ასეთია: ვინმე გაბრიჩი დაშავდა, ბიელსამ ცხრანომრიანი მაისურა გაბრიელს ანდო, შეხვედრა კი არც მეტი, არც ნაკლები „კოპა ლიბერტადორესის" ნახევარფინალისა გახლდათ და მეტოქე „სან ლორენსო" იყო: და ბატისტუტამ გოლი გაიტანა! თამაშში სული და გული ჩადო, ძალიან გაიტაცა იმან, რაც გარშემო ხდებოდა, ხოლო საღამოს შინ მილასლასებულს მკვდარივით ჩაეძინა.

მეორე დილით ახალგაღვიძებულს მიუტანეს გაზეთი, რომელშიც დიდი ასოებით ეწერა: „ბატისტუტა — იშვა ახალი ვარსკვლავი".

მართლაც ასე იყო, თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებიც „სან ლორენსოსთან" იმ თამაშის დღეს ეტყობა მარცხენა ფეხზე ბრძანდებოდნენ ამდგარნი და მერეც, გაბრიელ ბატისტუტას გვარ-სახელის გაგონებისას წლობით მარცხენას ეყრდნობოდნენ. ასეთთა შორის ყველაზე ცნობილნი და გავლენიანნი დანიელ პასარელა და ახლახან გარდაცვლილი ომარ სივორი გახლდნენ. მერედა პასარელამ ერთხელ რომ თქვა, ბატისტუტა ცუდი ფეხბურთელიაო, ცოცხალი თავით აღარ გადათქვა და მაშინაც კი, როდესაც ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს, გაბრიელს კარგა ხანს ჯიუტად არ იწვევდა გუნდში. რაც შეეხება სივორის, მას უცნაური მეტამორფოზა მოუვიდა, თავიდან წლობით ლანძლავდა ჩვენი წერილის გმირს, შემდეგ კი, თითქოს ცხოვრებაში აუგი არ დასცდენოდა, ქებაზე გადავიდა.

თუ ნებას დაგვრთავთ, ამ წერილში გაბრიელ ომარ ბატისტუტას იტალიურ ცხოვრებაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ცხადია, ის წლები, რომლებიც „ბატიგოლმა" ფლორენციაში გაატარა, მისი კარიერის უდიდეს და უდიადეს ნაწილს შეადგენს. ცხადია, საგანგებო იყო ის ერთგულება, რომელიც ფორვარდმა „იების" მიმართ გამოამჟღავნა და გუნდთან ერთად სერია B-ში ჩაყვინთვით გამოხატა. სწორედ ქვედა იტალიური ლიგიდან [illegible] 90-იან წლებში „ფიორენტინას" [illegible] ბატისტუტას დიდი [illegible] მდეგ იყო ფაბიო კაპელოს „რომა" და სკუდეტო, მერე „ინტერი", მაგრამ ამ წერილში რაღაც უფრო... აი, მაგალითად:

ეს ამბავი, ჯერ კიდევ რეკონკისტაში მოხდა. გაბრიელმა სრულიად შემთხვევით, მეგობრების წყალობით, ერთი უცნობი გოგონას თხუთმეტი წლის თავზე ამოჰყო თავი. თურმე არგენტინელი გოგონები თხუთმეტ წლისწადს რატომღაც საგანგებოდ ზეიმობენ და ირინასაც სპეციალურად შეეკერა ვარდისფერი კაბა. გაბრიელი მაშინ 17 წლის იყო...

რვა თვის მერე წყვილმა პირველად აკოცა ერთმანეთს, თუმცა ორივესთვის მანამდეც ცხადი იყო, რომ მათი ბედი სადღაც, ზეცით არსთა გამრიგეს უკვე გადაეწყვიტა: 1990 წლის 28 დეკემბერს გაბრიელმა და ირინამ „სანტა როკეს" ტაძარში ჯვარი დაიწერეს.

...ზემოთ არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი ვახსენეთ. გაბრიელ ბატისტუტამ სანაკრებო გოლების რაოდენობით თვით დიდ დიეგოსაც კი გადაასწრო და რაღ უნდა ბევრი მტკიცება იმას, რომ არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი თავდამსხმელიცაა. მომავალში კი... თუმცა, დანაპირები სულაც რომ არ აასრულოს და ფეხბურთში არც დარჩეს, თავადაც და ჩვენც მისი ბატიგოლობის ეპოქა გვეყოფა.

დასასრული კი ჩვენს წერილს მოდით, ასეთი გავუკეთოთ: ერთი იტალიელი ჟურნალისტი ამ ექვსი-შვიდი წლის წინ წერდა, ვინ იცის ფლორენციის ამა და ამ ქუჩაზე რამდენ მანქანას გაუვლია, რამდენ მძღოლს გაუხედავს იქვე მდებარე მოედნიანი ეზოსკენ და უფიქრია ან გვერდით მჯდომისთვის უთქვამს, ნახე, ბავშვებთან კაცი რომ თამაშობს ბატისტუტას როგორ ჰგავსო. და რას წარმოიდგენს ეს ხალხი, ის კაცი მართლა გაბრიელ ბატისტუტა რომ არისო — ამბობდა ჟურნალისტი.

ფეხბურთის ასეთი სიყვარული და გაუმაძღრობა მართლაც ძნელი წარმოსადგენია.

**პაპუნა ძედია**



1990 წლის 28 დეკემბერი: გაბრიელმა და ირინამ „სანტა როკეს" ტაძარში ჯვარი დაიწერეს



გაბრიელ ბატისტუტას „ფიორენტინას" ტიფოზებმა ერთგულებისთვის ცხოვრებაშივე დაუდგეს ძეგლი

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. პრემიერლიგა**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 1 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.15 | 6.5 | 15.0 | 1.0 | 1.06 | 4.53 |
| 22:45 | 2 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი 0:1 | 1.4 | 4.5 | 4.5 | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23:00 | 3 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 2.35 | 3.3 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.5 |
| 23:00 | 466 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.55 | 3.5 | 5.8 | 1.07 | 1.22 | 2.18 |

**ინგლისი. ჩემპიონატი**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 17 | როტერჰემი-რედინგი | 3.1 | 3.2 | 2.1 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 22:45 | 18 | ბრაიტონი-უიგანი | 3.8 | 3.3 | 1.85 | 1.76 | 1.24 | 1.18 |
| 22:45 | 19 | კარდიფი-იფსვიჩი | 2.85 | 3.3 | 2.2 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| 22:45 | 20 | ჯილინგემი-სტოკი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 22:45 | 21 | მილუოლი-ქოვენთრი | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 22:45 | 22 | შეფილდი-პრესტონი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 22:45 | 23 | უოტფორდი-ლესტერი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 22:45 | 24 | ვესტ ჰემი-ქრიუ | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 22:45 | 25 | ვულვერჰემპტონი-ბარნსლი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 23:00 | 26 | სანდერლენდი-პლიმუთი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 27 | დერბი-ქპრ | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 22:45 | 28 | ნოტინგემი-ლიდსი | 2.4 | 3.2 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |

**ინგლისი. I ლიგა**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 40 | ოლდემი-ბრენტფორდი | 2.6 | 3.2 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |

**ინგლისი. II ლიგა**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 467 | ბოსტონი-ნოტსი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

**ინგლისი. კონფერენსი**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 66 | ჰერეფორდი-კარლაილი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:45 | 67 | ექსეტერი-ბარტონი | 1.7 | 3.5 | 4.0 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 22:45 | 68 | სკარბორო-ტემუორთი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:45 | 476 | უოკინგი-გრეივსენდი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 468 | ინვერნესი-სელტიკი | 10.0 | 4.5 | 1.25 | 3.1 | 1.11 | 1.0 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 87 | ფოლკირკი-კლაიდი | 1.7 | 3.6 | 3.8 | 1.15 | 1.17 | 1.84 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 93 | ალოა-მორტონი | 2.55 | 3.4 | 2.3 | 1.45 | 1.2 | 1.37 |
| 22:45 | 94 | აერი-ბრეჩინი | 3.3 | 3.5 | 1.9 | 1.69 | 1.2 | 1.23 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 100 | კოუდენბითი-ელგინი | 1.85 | 3.5 | 3.4 | 1.21 | 1.19 | 1.72 |
| 22:30 | 469 | ალბიონი-ისტ ფაიფი | 2.25 | 3.5 | 2.6 | 1.36 | 1.2 | 1.49 |
| 22:30 | 470 | ისტ სტირლინგი-სტენჰაუზმუირი | 2.9 | 3.5 | 2.0 | 1.58 | 1.18 | 1.27 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:45 | 119 | დინამო-კიოლნი | 3.1 | 3.0 | 2.2 | 1.52 | 1.28 | 1.26 |
| 20:45 | 120 | ზაარბრიუკენი-კარლსრუე | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 471 | კილი-პადერბორნი | 2.5 | 3.3 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.4 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 130 | ვოლფსბურგი(მ)-ბრაუნშვაიგი | 3.0 | 3.4 | 2.0 | 1.59 | 1.2 | 1.25 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 159 | ბაზელი-შაფჰაუზენი | 1.25 | 4.5 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.05 |
| 21:30 | 160 | გრასჰოპერი-თუნი | 2.05 | 3.1 | 3.3 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 21:30 | 161 | სტ.გალენი-აარაუ | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 21:30 | 162 | იანგ ბოიზი-ქსამაქსი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

**შვეიცარია. ჩელენჯლიგა**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 167 | შო დე ფონი-ლუცერნი | 2.65 | 3.2 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |

**იტალია. სერია B**

**17 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 190 | ალბინოლეფე-ტრევიზო | 2.5 | 2.7 | 2.85 | 1.29 | 1.33 | 1.38 |
| 22:45 | 191 | ვერონა-ტრიესტინა | 1.75 | 2.8 | 5.2 | 1.07 | 1.3 | 1.82 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 475 | ბილბაო-ხეტაფე | 1.55 | 3.5 | 6.0 | 1.07 | 1.23 | 2.21 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 234 | სტ.ეტიენი-აიაჩო | 1.7 | 3.1 | 5.0 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 21:00 | 235 | სტრასბური-მონაკო | 2.9 | 2.8 | 2.5 | 1.42 | 1.34 | 1.32 |
| 22:00 | 236 | სოშო-მეცი | 1.85 | 3.0 | 4.2 | 1.14 | 1.28 | 1.75 |

**ბელგია. I დივიზიონი**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 477 | სტანდარდი-ლუვიე | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 473 | დენ ჰააგი-ჰერენვეენი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 474 | გრონინგენი-პსვ | 6.5 | 3.6 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |

**ჩეხეთი**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 356 | პრჟიბრამი-ლიბერეცი | 2.9 | 3.0 | 2.25 | 1.47 | 1.26 | 1.28 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**15 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 429 | ინტერი-პორტუ | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |

**უეფას თასი**

**16 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 431 | ალკმაარი-შახტარი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 22:45 | 432 | ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი | 1.7 | 3.3 | 4.7 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 21:00 | 433 | სტიაუა-ვილიარეალი | 2.6 | 3.2 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 430 | ცსკა-პარტიზანი | 1.55 | 3.5 | 5.7 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 22:45 | 434 | ოსერი-ლილი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 22:45 | 435 | პარმა-სევილია | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 436 | სარაგოსა-აუსტრია | 1.55 | 3.5 | 5.6 | 1.07 | 1.21 | 2.15 |
| 22:45 | 437 | სპორტინგი-მიდლსბრო | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | **ავსტრია. თასი** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 439 | აუსტრია(ლ)-პაშინგი | 3.5 | 3.3 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 21:00 | 440 | კერნტენი-კაფენბერგი | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 19:30 | 443 | ფიორენტინა-რომა | 2.45 | 3.1 | 2.6 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 23:00 | 444 | უდინეზე-მილანი | 2.6 | 3.0 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 445 | სამპდორია-კალიარი | 1.6 | 3.3 | 5.3 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 446 | გენტი-ლოკერენი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 22:30 | 472 | ლიერსი-შარლერუა | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 447 | კალამარია-არისი | 2.45 | 3.1 | 2.6 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 448 | აეკ-პანიონიოსი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 15:00 | 450 | ხიმკი-ალანია | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 15:00 | 451 | კრილია-დინამო | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 15:00 | 452 | სატურნი-როსტოვი | 1.5 | 3.8 | 5.3 | 1.07 | 1.16 | 2.21 |
| 15:00 | 453 | ყუბანი-ზენიტი | 3.8 | 3.2 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 22:35 | 454 | მალმიო-კოპენჰაგენი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:35 | 455 | ბრანი-ვოლერენგა | 2.45 | 3.2 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 510 | კლადნო-პარდუბიცე | 2.25 | 4.2 | 2.1 | 1.46 | 1.08 | 1.39 |
| 19:00 | 511 | ლიბერეცი-სლავია | 2.1 | 4.2 | 2.25 | 1.39 | 1.08 | 1.46 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 13:00 | 524 | სპარტაკი-ლადა | 5.0 | 4.6 | 1.35 | 2.39 | 1.06 | 1.04 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 525 | ნოვოკუზნეცკი-დინამო | 2.5 | 4.6 | 1.8 | 1.61 | 1.04 | 1.29 |
| 13:00 | 526 | მოლოტი-სევერსტალი | 4.0 | 4.4 | 1.5 | 2.09 | 1.09 | [illegible] |
| 13:00 | 527 | აკ ბარსი-ხიმიკი | 1.25 | 4.8 | 5.6 | 1.0 | 1.02 | 2.58 |
| 13:00 | 528 | ნეფტეხიმიკი-ავანგარდი | 2.6 | 4.6 | 1.8 | 1.66 | 1.06 | 1.29 |
| 13:00 | 529 | ცსკა-აკ | 1.65 | 4.5 | 3.0 | 1.2 | 1.06 | 1.79 |
| 13:00 | 530 | სიბირი-მაგნიტოგორსკი | 3.3 | 4.5 | 1.6 | 1.9 | 1.07 | 1.18 |
| 13:00 | 531 | ლოკომოტივი-ს.იულაევი | 1.4 | 4.5 | 4.6 | 1.06 | 1.07 | 2.27 |

**I ტაიმის შედეგი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.45 | 2.6 | 9.0 | 1.0 | 1.24 | 2.01 |
| 10003 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 3.0 | 2.0 | 3.3 | 1.2 | 1.57 | 1.24 |
| 10429 | ინტერი-პორტუ | 1.8 | 2.1 | 6.0 | 1.0 | 1.38 | 1.55 |
| 10466 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.8 | 2.4 | 6.3 | 1.02 | 1.39 | 1.73 |
| 10475 | ბილბაო-ხეტაფე | 1.8 | 2.2 | 5.5 | 1.0 | 1.35 | 1.57 |

CROCO BOOKMAKERS კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.4 | 15.0 | 40.0 | 3.5 | 6.0 | 17.0 | 25.0 | 17.0 | 17.0 |
| 11003 ჩარლტონი-ტოტენჰემი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11429 ინტერი-პორტუ | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11466 ლივერპული-ბლექბერნი | 1.95 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11475 ბილბაო-ხეტაფე | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |

**რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 18429 | ინტერი-პორტუ | 1.2 | 3.5 |

**ფრეს გარეშე(ძირ. დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.05 | 7.0 |
| 16003 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 1.55 | 2.2 |
| 16429 | ინტერი-პორტუ | 1.15 | 3.9 |
| 16466 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.2 | 3.8 |
| 16475 | ბილბაო-ხეტაფე | 1.2 | 3.5 |

**ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)**

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17001 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17429 | ინტერი-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17466 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17475 | ბილბაო-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 2.0 | 1.6 |
| 12003 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 1.6 | 2.0 |
| 12429 | ინტერი-პორტუ | 1.6 | 2.0 |
| 12466 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 12475 | ბილბაო-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 2.0 | 1.6 |
| 13003 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13429 | ინტერი-პორტუ | 1.9 | 1.7 |
| 13466 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13475 | ბილბაო-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.05 | 2.9 |
| 14003 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14429 | ინტერი-პორტუ | 1.2 | 3.5 |
| 14466 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.3 | 2.5 |
| 14475 | ბილბაო-ხეტაფე | 1.3 | 2.5 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15001 ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 ჩარლტონი-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15429 ინტერი-პორტუ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15466 ლივერპული-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15475 ბილბაო-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |

# ბორისა სტაბილურობის გარანტია

## ვაშაკიძის ლიტვური ვაშა



[illegible] ფოტო

**ასეთი** გვალვიანი პერიოდი, ქართულ ლეგიონს ამ კვირაში რომ ჰქონდა, იშვიათად თუ ყოფილა. მთლად უშედეგოც არ ეთქმის, მაგრამ საქართველოს წარგზავნილებმა ბოლო შვიდ დღეში საზღვარგარეთ მთლიანობაში თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს.

გამონაკლისები, რა თქმა უნდა, იყო და ეს პირველ რიგში, სუთაჯვაროსანთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერზე, ევროპაში სახელდაგდებულ და აღიარებულ ვარსკვლავ ვლადიმერ ბოისაზე ითქმის. ვოვამ ადრიატიკის ლიგის მორიგ ტურში დიდი დახმარება გაუწია ლიუბლიანის „ოლიმპიას" და სლოვენიურმა გუნდმაც ამ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, ევროლიგის წლევანდელი მონაწილე ბელგრადის „პარტიზანი" იმსხვერპლა.

ლიუბლიანელებმა ისე მოახრჩვეს სერბები, შანსი არ დაუტოვებიათ და ამაში ვლადიმერ ბოისას ლომის წილი მიუძღვის. ვოვა 28 წუთით გავიდა მოედანზე და ხუთი პერსონალური რომ არ დაეგროვებოდა, ალბათ მეტსაც ითამაშებდა. თუმც რაც მან ოლიმპიელთათვის გააკეთა, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. ბოისამ 19 ქულა მიითვალა და მეტოქის ფარზე 4 ბურთი მოხსნა. მასზე მეტი მოუგროვდა ოლიმპიელ მარიან ბაზდარიჩს და ლიუბლიანელებმაც იოლი გამარჯვება მოიპოვეს — 92:76.

ჩვენთვის ამ მატჩში სამწუხარო ის იყო, რომ არ უთამაშია ოლიმპიელთა კიდევ ერთ ჩვენიან მანუჩარ მარკოიშვილს, რომელიც ჯერაც სამიოდე კვირის წინ მიღებულ ტრავმას მკურნალობს და ოლიმპიელთა მწვრთნელიც არ ჩქარობს მის მოედანზე შეყვანას.

ბოისასთან ერთად ჩვენი ლეგიონიდან გასულ უქმეებზე ლიტვაში მობურთალი ტატო ვაშაკიძე გამოირჩა, რომელიც „პასვალიოს" პირველ ლიგაში გალიდერებაში დაეხმარა. ვაშაკიძის გუნდი აქამდე ერთპიროვნული ლიდერი არ ყოფილა, ამ შაბათ-კვირას მოხვეჭილი ორი გამარჯვების შემდეგ კი პირველლიგელებს კენწეროში მოექცა.

„პასვალიომ" შაბათს „აკადემია" დაამარცხა, კვირას კი გასვლაზე „ტარაგესიც" დაამწუხრა და პირველობის მოზიარე კლაიპედის „ნაფტაც" ჩამოიშორა. ვაშაკიძემ პირველ მატჩში 20 ქულა მოიხვეჭა, მეორეში — 10 და წარმატებით ამართლებს ლიდერის იმ სტატუსს, რომელიც მან უმაღლესლიგური „შაულიაიდან" „პასვალიოში" განათხოვრების შემდეგ დაიმკვიდრა.

საფრანგეთში კი „ქართული დერბი" შედგა, თუმც ჩვენიანები მოედანზე ერთმანეთს არ შეხვედრიან. „შალონი" — „დიჟონის" მატჩში ვიქტორ სანიკიძე 8 წუთით გავიდა მოედანზე და 3-3 ქულა-მოხსნა მოაგროვა, შალონელმა სერგო ათუაშვილმა კი, როგორც ყოველთვის, მთელი შეხვედრა სათადარიგო სკამზე გაატარა.

სკამზე ზის საფრანგეთში, ოღონდ მეორე ლიგაში მოთამაშე გიორგი მდივანიც, რომელმაც ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ ბოლო ხუთ თამაშში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა მოედანზე. მაშინ მდივანმა 15 წუთში 14 ქულა მოქაფა და სამომავლო იმედებიც გაუჩნდა, მაგრამ მომდევნო 4 თამაშია, სათადარიგოებს დაძმობილებია და მოედანზე საერთოდ არ ჩანს.

ამ უქმეებზე ისვენებდნენ რუსეთში მოთამაშე ბორჯღალოსნები. შემონდ უილიამსის „უნიკსი" ფიბა-ევროლიგაზეა გადართული და ოთხთა ფინალამდე დარჩენილ საპლეიოფო სერიას დღეს იწყებს თანამემამულე „ხიმკისთან". ურალგრეიტელი გიორგი ცინცაძე კი სულაც თბილისშია. მისი გუნდი რუსული ჩემპიონატის უცნაური კალენდრის გამო ბარე ერთი თვეა, უქმობს.

ასეთია ევროპელთა საქმე და არც ოკეანგაღმიდანაა საიმედო ამბები.

ნიკა ცქიტიშვილმა „გოლდენ სტეიტში" პირველი ქულები მიითვალა, მაგრამ რად გინდა — სამ მატჩში ჯამში 9 წუთი ათამაშეს და „სკიტამაც" „ფილადელფიას" 3, „ინდიანას" კი 2 ქულა ჩაუდგო.

ზაზა ფაჩულიას შეუპოვარ თამაშს ნაჩვევებს კი ამ კვირაში გასახარი ბევრიც არაფერი ჰქონდათ. ფაჩულიამ მისთვის ჩვეულ სტაბილურობაზე ოდნავ უხეიროდ ითამაშა — ერთხელ 6, ერთხელაც 5 ქულა ჩააგდო, „ატლანტასთან" და „ნიუ ორლეანთან" კი სულაც უქულოდ დატოვა მოედანი.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | პარტიზანი | შ | 92:76 | 28 | 19 | 4 | 0 | 1 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | პარტიზანი | შ | 92:76 | არ უთამაშია | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. საფრანგეთი | შალონი | ს | 76:87 | 8 | 3 | 3 | 1 | 0 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B. საფრანგეთი | ბრესტი | ს | 79:96 | არ უთამაშია | | | | |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ბოსნა | შ | 75:79 | 11 | 4 | 1 | 0 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | მეორე ლიგა (ლიტვა) | აკადემია | შ | 90:81 | 28 | 20 | 1 | 2 | 1 |
| | | | ტარაგესი | ს | 100:112 | 28 | 10 | 1 | 6 | 1 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | დენვერი<br>გ. სტეიტი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ფილადელფია | ს | 104:85 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 |
| | | | დეტროიტი | ს | 88:42 | არ უთამაშია | | | | |
| | | | ინდიანა | ს | 83:101 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 |
| | | | ატლანტა | ს | 105:92 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა, რეგულარული ჩემპ. | დალასი | შ | 110:112 | 21 | 6 | 6 | 1 | 0 |
| | | | ატლანტა | შ | 105:101 | 12 | 0 | 5 | 0 | 0 |
| | | | ჩიკაგო | ს | 85:90 | 26 | 5 | 3 | 2 | 0 |
| | | | ნიუ ორლეანი | ს | 107:111 | 6 | 0 | 4 | 2 | 0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

### 11 მარტი

**ინდიანა 101:83 გოლდენ სტეიტი**

გოლდენ სტეიტი: ფიშერი (12), რიჩარდსონი (5), დანლივი (18), მერფი (9), ფოილი (6 ქულა, 10 მოხსნა); დევისი (14), ბიედრინსი (8), პიეტრუსი (3), ჩინი (3), ვაიტი (3), ცქიტიშვილი (4 წუთი, 2 ქულა), ჩაბარკაპა

**მილუოკი 110:112 დალასი**

მილუოკი: უილიამსი (10 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), რედი (33), მეისონი (20), სმიტი (19), გაძურიჩი (7); სტრიკლენდი (9), ფაჩულია (21 წუთი, 6 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), კუკოჩი (3), გოლვაირი (3)

**ფილადელფია 112:80 შარლოტი**

**ტორონტო 112:116 ატლანტა**

ძირითადი დრო 101:101

**ბოსტონი 115:113 დეტროიტი**

ძირითადი დრო 95:95

**ფინიქსი 107:127 ჰიუსტონი**

**საკრამენტო 113:112 კლიპერსი**

**სიეტლი 97:100 ჩიკაგო**

**იუტა 82:94 მემფისი**

**ორლანდო 95:101 მინესოტა**

### 12 მარტი

**ნიუ ორლეანი 111:107 მილუოკი**

მილუოკი: უილიამსი (19), რედი (29), მეისონი (11), სმიტი (8), გაძურიჩი (10 ქულა, 16 მოხსნა); გოლდვაირი (14), კუკოჩი (8), ფიზერი (6), სტრიკლენდი (2), ფაჩულია (6 წუთი, 4 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება)

**ატლანტა 92:105 გოლდენ სტეიტი**

გოლდენ სტეიტი: ფიშერი (15), რიჩარდსონი (22), დანლივი (22), მერფი (9 ქულა, 15 მოხსნა), ფოილი (6); დევისი (20), პიეტრუსი (8), ბიედრინსი (3), ცქიტიშვილი (3 წუთი, 1 მოხსნა), ჩაბარკაპა

**მაიამი 90:66 ნიუ ჯერსი**

**სან ანტონიო 87:90 დენვერი**

**შარლოტი 116:117 ლეიკერსი**

**პორტლენდი 80:66 მემფისი**

### 13 მარტი

**მინესოტა 93:102 დალასი**

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), ჰასელი (19), შჩერბიაკი (18)
დალასი: ტერი (22 ქულა, 12 პასი), ნოვიცკი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი 83:78 ჩიკაგო**

კლიპერსი: ბრენდი (20 ქულა, 11 მოხსნა), მეჯიტი (19)
ჩიკაგო: კარი (19), ჰაინრიხი (16)

**საკრამენტო 96:111 ჰიუსტონი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (21), მობლი (20)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (22), ვესლი (21), ჯეიმსი (20), მინგი (17)

**ბოსტონი 105:101 ვაშინგტონი**

ბოსტონი: პირსი (20), ლაფრენცი (19)
ვაშინგტონი: ჰიუზი (26), არენასი (25), ჯემისონი (14)

**დეტროიტი 64:62 იუტა**

დეტროიტი: ჰამილტონი (15), ბილაფსი (12)
იუტა: კირილენკო (27 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება, 3 პასი, 3 ჩაჭრა)

**ნიუ იორკი 80:90 სიეტლი**

ნიუ იორკი: ტ. ტომასი (20), მარბერი (20)
სიეტლი: ლუისი (23), ალენი (19)

**ორლანდო 82:98 ნიუ ჯერსი**

ორლანდო: ჰილი (23), თურქოღლუ (23)
ნიუ ჯერსი: კარტერი (33), ვინი (22), კიდი (14 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი, 5 ჩაჭრა)

**ტორონტო 128:110 ფილადელფია**

ტორონტო: მარშალი (38 ქულა, 10 მოხსნა), ბოში (25 ქულა, 10 მოხსნა), პიტერსონი (20 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ალსტონი (17)
ფილადელფია: აივერსონი (32), ვებერი (19), კორვერი (15)

**დენვერი 101:106 ფინიქსი**

დენვერი: მარტინი (21), ბოიკინსი (20)
ფინიქსი: ნეში (25 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), ჯონსონი (23 ქულა, 11 მოხსნა), მარიონი (19 ქულა, 15 მოხსნა)

**კლივლენდი 98:86 ინდიანა**

კლივლენდი: ჯეიმსი (35), ილგაუსკასი (16 ქულა, 11 მოხსნა)
ინდიანა: მილერი (29), ჯონსონი (17)



13 მარტს ლებრონ ჯეიმსმა „ინდიანას" 35 ქულა ჩაუგდო

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 34 | 29 | 54,0 |
| ფილადელფია | 30 | 33 | 47,6 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 36 | 43,8 |
| ტორონტო | 27 | 36 | 42,9 |
| ნიუ იორკი | 26 | 35 | 42,6 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 38 | 23 | 62,3 |
| კლივლენდი | 33 | 27 | 55,0 |
| ჩიკაგო | 32 | 28 | 53,3 |
| ინდიანა | 31 | 31 | 50,0 |
| მილუოკი | 25 | 36 | 41,0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 48 | 16 | 75,0 |
| ვაშინგტონი | 33 | 27 | 55,0 |
| ორლანდო | 31 | 31 | 50,0 |
| შარლოტი | 12 | 48 | 20,0 |
| ატლანტა | 11 | 51 | 17,7 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 47 | 15 | 75,8 |
| დალასი | 41 | 21 | 66,1 |
| ჰიუსტონი | 37 | 25 | 59,7 |
| მემფისი | 35 | 27 | 56,5 |
| ნიუ ორლეანი | 14 | 47 | 23,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 42 | 19 | 68,9 |
| დენვერი | 32 | 30 | 51,6 |
| მინესოტა | 32 | 32 | 50,0 |
| პორტლენდი | 23 | 37 | 38,3 |
| იუტა | 20 | 42 | 32,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 48 | 15 | 76,2 |
| საკრამენტო | 39 | 25 | 60,9 |
| ლეიკერსი | 32 | 29 | 52,5 |
| კლიპერსი | 28 | 35 | 44,5 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 43 | 31,7 |

# ტონთიოს აღმოჩენა ტანას ხეობაში

## ტიან-შანზე 1961 წელს დაღუპულ ქართველ მთამსვლელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი I მემორიალი ყინულზე ცოცვაში

**ყარაგანდაა** ცნობილი, რომ სსრკ ჩემპიონატებში ქართველ მთამსვლელთა წარმატებები (11 პირველი, 12 მეორე და 7 მესამე გუნდური ადგილი) „კლდოვან", „ტექნიკურად რთულ", „სასიმაღლო-ტექნიკურ", „სასიმაღლო" და „ტრავერსის" კლასებზე თითქმის თანაბრად ნაწილდებოდა

რაც შეეხება „თოვლ-ყინულოვან" კლასს (მარშრუტის უდიდესი ნაწილი დიდი სირთულის თოვლისა და ყინულის მონაკვეთებისგან უნდა შედგებოდეს), რომელშიც სსრკ პირველობა სულ რამდენჯერმე ჩატარდა, ქართველი ალპინისტები არ მონაწილეობდნენ, რაც, ჩემი აზრით, იმით იყო განპირობებული, რომ ჩვენი აქილევსის ქუსლი სწორედ თოვლი, უმეტესწილად კი ყინული იყო.

მკითხველმა ისე არ უნდა გაიგოს, თითქოს ქართული მთამსვლური სკოლის წარმომადგენლები თოვლზე და ყინულზე „სიარულის" ტექნიკური დონით სხვებს ჩამორჩებოდნენ და რასაც „სასიმაღლო-ტექრიკურ" და „სასიმაღლო" ასვლების კლასებში ჩვენი წარმატებებიც ადასტურებენ. უბრალოდ, ქართველ მთამსვლელთა სიმპათიები კლდოვანი მარშრუტებისკენ იხრებოდა, სადაც მათი უპირატესობა აშკარად შესამჩნევი იყო.

ბოლო 20 წლის განმავლობაში მთამსვლელთა ტექნიკური აღჭურვა არა მხოლოდ მნიშვნელოვნად ამაღლდა ხარისხობრივად, არამედ ახალი ელემენტებითაც შეივსო. შესაძლებელი გახდა ისეთი ტექნიკურად რთული მარშრუტების გავლა, რომელთა დაძლევაც წარსულშიც შეუძლებელი ან მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო.

მიუხედავად ამისა, საქართველოში სპორტის ამ სახეობის წინსვლა იმ პერიოდში არ შეიმჩნეოდა. მეტიც, იყო სერიოზული უკუსვლა, როგორც ალპინისტური კადრების, ასევე სპორტული მიღწევების თვალსაზრისით. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისიც...

ქართველთა მიერ პოზიციების დათმობა მით უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ თვალს გადავავლებთ სხვათა, უწინარეს ყოვლისა, რუს მთამსვლელთა ბოლო ათწლეულის ასვლებს კავკასიონზე (უშბა, შხელდა, ჩათინი, შხარა და სხვა), ჰიმალაებსა და მსოფლიოს სხვა მთათა სისტემებში — რუსებს დღეს მოწინავე პოზიციები უკავიათ მსოფლიოს ალპინიზმში.

ახლა დავუბრუნდეთ ქართველი ალპინისტების სუსტ რგოლს. ყინულზე „სიარულის" ტექნიკის ათვისებას მთამსვლელი პირველი ნაბიჯებიდან უნდა იწყებდეს. იმისთვის, რომ ამ ტექნიკას სრულყოფილად ფლობდე, ხანგრძლივი ვარჯიშია საჭირო სხვადასხვა რელიეფისა და დახრილობის ყინულზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საკვალიფიკაციო ასვლების მარშრუტების შერჩევას, ვინაიდან ვარჯიშებზე მიღებული ცოდნის რეალიზაცია და სრულყოფა ასვლების პროცესში ხდება.

ეს საქმე მოითხოვს, რომ სასწავლო-სპორტული პროცესი (მათ შორის საკვალიფიკაციო ასვლები II თანრიგის ფარგლებში) გამოცდილი მწვრთნელის (ალპინიზმის ინსტრუქტორ-მეთოდისტი) უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდეს.



ბიისის მახლობლად გაყინულ ჩანჩქერზე



ტონთიოს აღმოჩენა...

დღეს ქართველ მთამსვლელებს არა აქვთ შესაძლებლობა, რომ სრულფასოვანი მომზადება გაიარონ თოვლსა და ყინულზე სიარულის ტექნიკის ასათვისებლად.

სამთო ბაზების არარსებობის გარდა, ქართველ მთამსვლელებს არც ძვირადღირებული თანამედროვე სამთო აღჭურვილობისა და ინვენტარის შეძენის შესაძლებლობა აქვთ.

ამასთან, თბილისიდან, სადაც თავმოყრილია ალპინისტური კლუბებისა და სექციების დიდი ნაწილი, სავარჯიშო გასვლები მუდმივი თოვლისა და ყინულის ზონაში (3500 მეტრის ზევით) სპეციალური ექსპედიციის მოწყობას საჭიროებს, რაც დროის ფაქტორის გარდა მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული.

მაგრამ აი, ამ ხუთიოდე წლის წინათ გორის ტურისტულ-ალპინისტურ კლუბ „ტონთიოს" აქტივისტებმა ტანას ხეობაში (გორიდან 30კმ). სოფელ ბიისის მახლობლად, მიაგნეს გაყინულ ჩანჩქერს, რომლის სიმაღლეც 40 მეტრს აღემატება და დახრილობით ვერტიკალს უახლოვდება.

ამ აღმოჩენის შესახებ გორელებმა თსუ ალპკლუბის წევრებს უამბეს. ასე გავრცელდა ინფორმაცია ბიისის ყინულის ჩანჩქერის შესახებ, რომელიც თბილისიდან მანქანით სულ რაღაც ორი საათის სავალზეა.

თავდაპირველად ბიისის ყინულის ჩანჩქერს მხოლოდ თსუ გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბის წევრები სტუმრობდნენ და ისიც ეპიზოდურად, შაბათ-კვირას (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი).

ბოლო ორი წლის განმავლობაში ბიისის ყინული იმდენად პოპულარული გახდა, რომ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ წლეულს თებერვალში ყინულზე ცოცვაში მემორიალის ჩატარება გადაწყვიტა და იგი 2005 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმაშიც შეიტანა.

I მემორიალი ყინულზე ცოცვაში ტიან-შანზე 1961 წელს დაღუპულ მთამსვლელთა ხსოვნას მიეძღვნა.

ის ტრაგედია, რომელიც ტიან-შანზე დატრიალდა, ქართველთა მეხსიერებაში ღრმადაა აღბეჭდილი. მწვერვალ „პობედაზე" (7443მ) ახალი ურთულესი სასიმაღლო მარშრუტის წარმატებით გავლის შემდეგ, დაშვებისას დაიღუპა საქართველოს მთამსვლელთა სამი შესანიშნავი წარმომადგენელი — სსრკ სამ-სამგზის ჩემპიონები ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ილია გაბლიანი და ორგზის ჩემპიონი თეიმურაზ კუხიანიძე.

ახლა მათი ხსოვნის მემორიალს დავუბრუნდეთ.

ვინაიდან ყინულზე ცოცვაში ასპარეზობა ჩვენში პირველად ტარდებოდა, გადავწყვიტეთ შეჯიბრება ერთ დისციპლინაში მოგვეწყო.

დებულების თანახმად, გამარჯვებულად ის სპორტსმენი ითვლებოდა, რომელიც ტრასას ყველაზე სწრაფად გაივლიდა. დადგინდა, აგრეთვე, საკონტროლო დრო, რომლის გავლის შემდეგაც სპორტსმენს ტრასის გაგრძელება ეკრძალებოდა. საკონტროლო დროის გავლის ან მოწყვეტის შემთხვევაში უპირატესობა იმ სპორტსმენს ენიჭებოდა, რომელიც ტრასის უფრო გრძელ მონაკვეთს გაივლიდა. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი მონაწილე ტრასის თანაბარ მონაკვეთს დაძლევდა, უპირატესობის დასადგენად დროის ფაქტორი ერთვებოდა.

შეჯიბრების ტრასის მომზადება ითავა მთამსვლელთა ჯგუფმა ბიძინა გუჯაბიძის, ირაკლი კორძახიას, ლადო დანგაძისა და ზაზა ცერცვაძის შემადგენლობით.

ყინულზე ცოცვის მემორიალში მონაწილეობდნენ თბილისის, გორის და ზემო სვანეთის წარმომადგენლები, უმრავლესობას კი შეადგენდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბის და თბილისის ახალგაზრდა მთამსვლელთა და მეკლდეურეთა ახლადშექმნილი კლუბის წევრები. სულ კი ხუთი ქალი და 23 ვაჟი მოგროვდა.

სპონსორებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დანიური სახლი, რომელმაც უზრუნველყო მემორიალი ტრანსპორტით და პრიზებით.

პრიზები გადაეცათ არა მხოლოდ გამარჯვებულებს (როგორც ვაჟებს, ასევე გოგონებს), არამედ შეჯიბრების მონაწილეებსაც, რომლებმაც მაყურებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს.

ტრასა, რომელიც 8 საკონტროლო მონაკვეთისგან შედგებოდა, მხოლოდ 8 მოასპარეზემ დაძლია.

მონაწილეთა დიდი ჯგუფი ფიზიკურად და ტექნიკურად მოუმზადებელი აღმოჩნდა და სხვადასხვა სიმაღლეზე შეწყვიტა ასპარეზობა — მოწყდა ან საკონტროლო დროში ვერ ჩაეტია.

ახლა კი გაგაცნობთ იმ ვაჟებს, რომლებმაც ტრასა ბოლომდე დაძლიეს:

I. შოთა კომახიძე (5 წუთი და 15 წამი); II. ბიძინა გუჯაბიძე (5,42); III. ლევან თათარაშვილი (5,54); IV. გიორგი კომახიძე (6,49); V. ალეკო დოლიაშვილი (6,54); VI. ლევან ნიგურიანი (7,07); VII. ირაკლი კორძახია (8,46); VIII. ირაკლი გუჯაბიძე (8,50).

ქალთა შორის ტრასა ბოლომდე ვერავინ გაიარა, საუკეთესო შედეგი კი აჩვენა ნინო აბზიანიძემ (თსუ ალპკლუბი), რომელმაც ყინულის პირველი ორი მონაკვეთი დაძლია.

ქალთა შორის მომდევნო ადგილები ასე განაწილდა:

II. სოფო თვარაძე; III. ქეთევან ღოლბერიძე; IV. ბაისო გუბაჯიძე; V. ელისო ჩუბინაშვილი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ყინულზე ძალები მოსინჯეს ცნობილმა მთამსვლელებმა მერაბ ხაბაზმა და ზალიკო ქიქოძემ.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ასევე ცნობილი მთამსვლელის, საქართველოს პარლამენტის წევრის გია თორთლაძის გამოსვლამ, რომელმაც ბიისის ყინულის ჩანჩქერი ყველაზე ეფექტურად და სარეკორდო დროში გაიარა, რისთვისაც უახლესი აღჭურვილობა გამოიყენა.

გადაწყდა, რომ გაისად ბიისის ყინულზე საქართველოს ღია ჩემპიონატი ჩატარდეს.




შეჯიბრების მონაწილენი გაყინულ ჩანჩქერთან

**შოთა მირანაშვილი,**
*საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი*
**ავტორის ფოტოები**

# პრაღამ ევროპა დააკომპლექტა

**თბილისის** ტრადიციული საერთაშორისო პირველობის შემდეგ არც ერთ წლევანდელ მსოფლიოს თასზე და სუპერთასზე საქართველოს ნაკრებს ისე ხვავიანად არ უჭიდავია, როგორც 12-13 მარტს პრაღაში. ჩეხურ ტურნირში 22 ქვეყნის 117 კიმონოსანი ჩაერთო, თუმც რამდენიმე წამყვანმა ნაკრებმა პრაღაში ჩასვლა საერთოდ არ ისურვა და ძლიერი სპორტსმენების ნაკლებობაც აშკარად იგრძნობოდა. მთლად უნაკლო არც შოთა ხაბარელის შემადგენლობას ეთქმოდა, მაგრამ მწვრთნელმა ყურადღება ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატზე წასაყვან ბიჭებზე გაამახვილა.

ოლიმპიური ჩემპიონ-პრიზიორები ზურაბ ზვიადაური და ნესტორ ხერგიანი რომ ევროპას გამოტოვებდნენ, კარგა ხნის წინათ გადაწყდა. მათი მთავარი საფიქრალი შემოდგომაზე ეგვიპტეში გასამართი მსოფლიოს პირველობაა, ხოლო მანამდე მათ ადგილებზე დასამკვიდრებლად გვარიანი ბრძოლები გაიმართა.

ნესტორ ხერგიანის შემცვლელი უფრო ადრე გამოიკვეთა. ვახტანგ ხოსიტაშვილმა ბევრისთვის მოულოდნელად მოსკოვური სუპერთასიდან ოქრო ჩამოიტანა და საევროპო საგზურიც ფაქტობრივად გაინაღდა. „ხოსიტამ" თავისი ძალა პრაღაშიც დაამტკიცა. უკრაინელ ლევონ სვერდილს, ფინელ ტატუ საარინენს, ჩეხ ლიბორ სვეცს და კანადელ ფრეზერ ვილს საკმაოდ იოლად გაუსწორდა და ორი მსოფლიოს თასის მომგები პირველი ქართველი ძიუდოისტი შეიქნა.

66 კილოგრამში ევროპას თბილისის ტურნირის მომგები ზაზა კედელაშვილი იჭიდავებს. მართალია, ზაზამ პრაღაში პირველივე შეხვედრა წააგო ბერძენ რევაზ ციდირიდისთან და იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რეპეშაჟის წესი არ მოქმედებდა, ბრინჯაოს გზაც აღარ გაუგრძელებია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ხაბარელმა აპრილამდე მის შეცვლაზე იფიქროს. ამ წონაში ოლიმპიური გუნდის წევრ დავით მარგოშვილს კი ჩავლილ ტურნირთა უმრავლესობა ტრავმიანობამ გააცდენინა და მისი სამიზნეც ხერგიან-ზვიადაურის დარად მსოფლიო იქნება. მას არათუ ნაკრებში დაბრუნება, საერთაშორისო წარმატებებიც რომ რეალურად შეუძლია, ეს დავითმა ჩეხეთშიც დაგვანახა. თავის წონაზე ერთით მაღლა, 73-ში იჭიდავა და ბრინჯაომდეც მივიდა.

დავით ქევხიშვილი (73 კგ) ჩეხეთში საერთოდ არ წასულა, თუმც საევროპო გუნდში ფრანგული სუპერთასის ბრინჯაოთი ჩაეწერა და ალბათ მწვრთნელი აღარც მის შეცვლაზე ფიქრობს.

პრაღაში კი ჩავიდა, მაგრამ ტატამზე აღარ გასულა თბილისის ტურნირის მომგები გრიგოლ მამრიკიშვილი. როგორც შევიტყვეთ, მიზეზი მაღალი სიცხე ყოფილა და გრიგოლსაც მძიმე ტრავმის შემდეგ საერთაშორისო არენაზე დაბრუნება პირდაპირ ევროპის ჩემპიონატით მოუწევს.

ყველაზე დიდი კონკურენცია სამ უმძიმეს წონაში იყო და მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტები იქაც მკვეთრად თუ ბუნდოვნად ჩანდნენ, მწვრთნელი საბოლოო სიტყვას მხოლოდ ჩეხური ტურნირის ჩამთავრების შემდეგ აპირებდა. მისდა საბედნიეროდ, მოვლენები ისე განვითარდა 100 და +100 კილოგრამებში ქართული ფინალები შედგა. შესაბამისად ნაკრების კანდიდატებს ოცნების ასასრულებლად კარგი ჭიდაობაღა დარჩათ.

90 კილოგრამში გაცილებით მაღალი საევროპო შანსის მქონე ირაკლი ცირეკიძემ ბრინჯაოს მედალი მოიგო, მეხუთე ადგილზე გასულ კონკურენტს, მინდია ბო[illegible] და საგზურიც ოფიციალურად [illegible]

ჩვენ კი ისევ ქართულ ფინალებს მივუბრუნდეთ. 100-ში ივერი ჯიქურაულმა გია გუგავას აჯობა, მძიმე წონაში კი ალექსი დავითაშვილმა ახალგაზრდა ლაშა გუჯეჯიანს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

ივერი ჯიქურაული

| 60 კგ |
|---|
| 1 ვახტანგ ხოსიტაშვილი (საქართველო) |
| 2 ფრეზერ ვილი (კანადა) |
| 3 ლიბორ სვეცი (ჩეხეთი) |
| 3 თეოდოროს მანდრიდესი (კვიპროსი) |
| **66 კგ** |
| 1 ხავიერ დელგადო (ესპანეთი) |
| 2 რევაზ ციდირიდისი (საბერძნეთი) |
| 3 იუ შინოზაკი (იაპონია) |
| 3 დავიდ დუბსკი (ჩეხეთი) |
| 9 ზაზა კედელაშვილი (საქართველო) |
| **73 კგ** |
| 1 ნიკ ტრიტონი (კანადა) |
| 2 რომან მიშურა (რუსეთი) |
| 3 დავით მარგოშვილი (საქართველო) |
| 3 ალეკოს ლაზაროუ (კვიპროსი) |
| 9 დავით კუპრაშვილი (საქართველო) |
| **81 კგ** |
| 1 კონსტანტინ კოჟოკი (რუმინეთი) |
| 2 ჟირი პოკორნი (ჩეხეთი) |
| 3 კლემენ ფერიანი (სლოვენია) |
| 3 დენის კორობკოვი (ყირგიზეთი) |
| **90 კგ** |
| 1 დავიდ ალარზა (ესპანეთი) |
| 2 ანდრეი ბლოშენკო (უკრაინა) |
| 3 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო) |
| 3 პავოლ იურჩიჩი (სლოვაკეთი) |
| 5 მინდია ბოდაველი (საქართველო) |
| **100 კგ** |
| 1 ივერი ჯიქურაული (საქართველო) |
| 2 გია გუგავა (საქართველო) |
| 3 ასხაბ კოსტოევი (რუსეთი) |
| 3 ზოლტან პალკოვაჩი (სლოვენია) |
| **+100 კგ** |
| 1 ალექსი დავითაშვილი (საქართველო) |
| 2 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო) |
| 3 ივან ილიევი (ბულგარეთი) |
| 3 რუსლან ძარიმი (რუსეთი) |



ზამთარმა ჩაიარა, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მთებზე თოვლი დნება და სამთო მოთხილამურეებმაც თხილამურები კედელზე ააყუდეს.

# ბროლი, მეფე და დედოფალი

## მილერმა ავსტრია დაამდაბლა

**ამ** უქმეებზე მთიელებმა ზამთრის მეფე და დედოფალი გამოავლინეს. ბოლო ჩამოსრიალებას შვეიცარიული ლენცერჰილდე მასპინძლობდა. კაცებში ყველაფერი თუ არა, და მსოფლიოს თასის მფლობელის ვინაობა გარკვეული იყო. ამერიკელმა ბოდე მილერმა აწ უკვე ჩასრიალებულ სეზონში ყველას აჯობა. ბორმიოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ორი ოქრო სავსებით დამსახურებულად მოიხვეჭა და მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში პირველი ადგილის მფლობელისთვის დაწესებულ ბროლის გლობუსსაც სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე აკოცა.

მილერი ყოველთვის ან მეორე იყო, ან მეორეც ვერა, ახლა კი 2004 წლის გვიანი შემოდგომიდან მოყოლებული გაზაფხულის პირველ დღეებამდე, სადაც შანსი მიეცემოდა, ყველგან ამჟღავნებდა პირველობის ამბიციას და საქმითაც ამტკიცებდა ამ გლობუსის ღირსი რომ იყო. სხვა თუ არაფერი, ბოდე მილერმა ოთხივე დისციპლინაში — სწრაფდაშვებაში, სუპერგიგანტში, გიგანტურ სლალომსა და ჩვეულებრივ სლალომში მოახერხა თუნდაც ერთი ეტაპის მოგება და ეს უნივერსალიზმი სათანადოდაც დაუფასდა. აქამდე სამთო თხილამურობაში ავსტრიელები დომინირებდნენ და არც ერთი ეტაპი არ ჩაუსრიალებიათ ოქრო-ვერცხლ-ბრინჯაოს გარეშე, მაგრამ ისინი სეზონის დაწყებიდან დამთავრებამდე ამაოდ მისდევდნენ ამერიკელს და ბოლო დღეებში მის საბოლოო პირველობასთან შეგუებაც მოუწიათ.

მილერის მდევარ ავსტრიელთაგან საუკეთესო იყო ბორმიოს მსოფლიოს ჩემპიონატის კიდევ ერთი გმირი, შედარებით ნელი, მაგრამ გაცილებით ტექნიკური ბენიამინ რაიხი. აწ უკვე ლეგენდარულ ჰერმან მაიერს, მსოფლიოს თასის სამჯერ ამწევ „ჰერმინატორს" კი მხოლოდ მესამე ადგილი ერგო.

რაც შეეხებათ ქალებს, მათ, უფრო ზუსტად კი ორ მათგანს ბოლო ეტაპამდე ცხარე ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული. კერძოდ, შვედმა ანია პაერსონმა და ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა მთელი სეზონის განმავლობაშიც და მსოფლიოს ჩემპიონატზეც გვარიანად ანერვიულეს ერთმანეთი. ორივე მსოფლიოს თასის მფლობელია და გლობუსის კიდევ ერთხელ შემართვაზე უარს არ იტყოდნენ, მაგრამ ჯილდო ერთია და ამდენად, ერთ-ერთი მათგანი გაწბილებული დარჩა. 2003-04 წლების ზამთრის დედოფალმა ანია პაერსომა სულ რაღაც 3 ქულით აჯობა მანამდელ ჩემპიონ კოსტელიჩს და ზედიზედ მეორედ ირგუნა გლობუსი.

სხვათა შორის, ბოდე მილერის დარად პაერსონმაც ოთხივე დისციპლინაში მოიგო ეტაპი ამ სეზონში.

**ფიფქია ზამთარაძე**



ყინულის მეფე და დედოფალი: ბოდე მილერი და ანია პაერსონი

| კაცთა საერთო ჩათვლა | | ქალთა საერთო ჩათვლა | |
|---|---|---|---|
| 1 ბოდე მილერი (აშშ) | 1648 ქულა | 1 ანია პაერსონი (შვედეთი) | 1359 |
| 2 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 1454 | 2 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 1356 |
| 3 ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 1295 | 3 რენატე გოეტჩლი (ავსტრია) | 1164 |
| 4 მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 1012 | 4 მიხაელა დორფმეისტერი (ავსტრია) | 1122 |
| 5 დარონ რალფსი (აშშ) | 984 | 5 ანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1039 |
| 6 დიდლერ დეფაგო (შვეიცარია) | 684 | 6 ლინდსი კილდოუ (აშშ) | 914 |
| 7 ლასე კიუსი (ნორვეგია) | 580 | 7 ჰილდე გერგი (გერმანია) | 799 |
| 8 ფრიც სტრობოლი (ავსტრია) | 537 | 8 მარლის შილდი (ავსტრია) | 669 |
| 9 კალე პალანდერი (ფინეთი) | 530 | 9 ჯულია მანკუსო (აშშ) | 659 |
| 10 იოჰან კრუგერი (ავსტრია) | 521 | 10 ტინა მაცე (სლოვენია) | 650 |

# რუსთა ბაზაზე მატებაა



ევგენია ლინეცკაია

**PACIFIC LIFE OPEN**

ინდიან უელსი. მაგარსაფარი

ვაჟები. საპრიზო 2,725 მლნ $

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მარდი ფიში (აშშ) 6:3 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (2, ავსტრალია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:2 7:6 (7:2); **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — იარიკო ნიემინენი (ფინეთი) 4:6 6:1 7:5; **კარლოს მოია** (7, ესპანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:3 6:4; **ფაბრის სანტორიო** (საფრანგეთი) — იოხიმ იოჰანსონი (11, შვედეთი) 4:6 62 7:6 (8:6); **ივან ლიუბიჩიჩი** (13, ხორვატია) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 6:3 6:2; **გილერმო კანასი** (14, არგენტინა) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:4 6:3; **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — ტომი ჰაასი (16, გერმანია) 7:6 (7:3) 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — მარიო ანჩიჩი (19, ხორვატია) 7:5 3:6 6:2

ქალები. საპრიზო 2,1 მლნ $

**მესამე წრე**

**ევგენია ლინეცკაია** (30, რუსეთი) — ამელი მორეზმო (2, საფრანგეთი) 2:6 6:2 7:5; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — სევერინ ბელტრამი (საფრანგეთი) 5:7 6:3 7:6 (7:5); **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — მარია ვენტოკაბჩი (32, ვენესუელა) 6:2 6:1; **ტატიანა გოლოვინი** (14, საფრანგეთი) — მარიანა დიაოლივა (არგენტინა) 6:2 2:6 6:2; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 6:1 7:6 (7:4); **კონჩიტა მარტინესი** (23, ესპანეთი) — ჯემია ჯეკსონი (აშშ) 6:0 7:5

**დღის** უმთავრეს მოულოდნელობად უწლოვანი რუსის ევგენია ლინეცკაიას მიერ ამქრის მეორმეჩოგნე ამელი მორეზმოს გაბუნძულება იქცა. არადა, ლონიერი ფრანგი მესამე სეტს 5:4 იგებდა და მომდევნო წრეში გასაშტრიალებლად ერთი გათამაშების მოგებაღა აკლდა, მაგრამ ჯერ იყო ხელწალმა დაახაია, მერე კი ზედიზედ ორჯერ ორმაგად მიჰქარა. ბეწვის ხიდზე გასულმა ლინეცკაიამ, ვინაც მორესმოსთან წლევანდელ ავსტრალიობაზე დაეთმო, რაკი რევანშის სუნი იკრა, ჩოგანი აღარ აცახცახებია, სხვა რუსი გოგოებივით დასტურ იქილერა და გალმა დამსახურებულად გაალაჯა. ნამატჩევს ის ხარობდა, ახლა თავს უბედნიერესად და ძალზედ თავდაჯერებულად ვგრძნობო და — ჰაი, ჰაი, რომ — არც გაემტყუნებოდა. სხვა თუ არაფერი, ამ 18 წლის ცუგრუმელას ხომ აქამდე ერთი ზეხუთეულელიც არ ებერტყა. მორეზმო კი, ბუნებრივია, იმედგაცრუებას ვერ მალავდა და დღეს ცუდად ნაღდად არ გავრჯილვარო, ჰკვირობდა.

შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირზე მას შანსი ჰქონდა, ლინდსი დევენპორტისთვის სეფეჩოგანი ჩამოერთმია, ახლა კი ვინძლო ისე წაუვიდეს საქმე, ნაამტურნირევს თავად ჩაქვეითდეს ერთი საფეხურით და თავისი ალაგი მარია შარაპოვას დაუთმოს.

სხვაფრივ — სანამ ორიოდ სიტყვა კაცებზე გვეთქვას, აქვე სიამოვნებით დავსძენთ, რომ დიდ კორტზე თავის დაბრუნებას კვლავაც ეშხიანად განაგრძობს მაჯასაბოლოოდ-მოშუშებული კიმ კლაისტერსი. ამ ჯერზე მან მოსკოველი ანა ჩაკვეტაძე დაიმორჩილა.

რაც შეეხება ვაჟებს, შარშან იქ ნაშოვნი ტიტულის დაცვა აულევლებლად და კეთილმწყობრად დაიწყო ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა როჯერ ფედერერმა, ვინაც წლეულს მხოლოდ ერთხელ იძლია (ავსტრალიობის ფინალში მარატ საფინისგან) და უკვე სამი სკალპის (დოჰასა, როტერდამსა და დუბაიში) მითვლა მოასწრო.

„სწორედ ინიან-უელსობისა და მაიამობის შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ ჩემს ამჟამინდელ ფორმასა და შანსებზე — ასე საუბრობდა ნამატჩევს ფედერერი — მაგრამ გული უკვე ამთავითვე მიგრძნობს, რომ ყველაფერი შარშანდელისებრ ფაიზალად უნდა წავიდეს“.

და ბოლოს — წლეულს ფედერერის ერთადერთ მძლეველ მარატ საფინს მესამე წრეში გასაღწევად მძიმე ბრძოლის გადატანა და მატჩბურთის მოგერიებაც კი მოუხდა. ქარი ქროდა, ქვიშა ქვიშობდა და მაგარი სიბნელე იყო. იმართლებოდასავით ის მერე და თუმც არა სტყუოდა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ მოვლენებს არც მის მეტოქე ნიემინენისთვის შეუწყვია ჩოგანი.

**არტემ ჩაჩანიძე**



მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

III ეტაპი. მექსიკა. 356 კმ



პეტერ სოლბერგმა მექსიკა დაიპყრო

REUTERS

# ჰოლივუდი აცეკვდა

**მექსიკის** რალი უკვე მეოცედ კი ჩატარდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატების ეტაპად მხოლოდ 2004 წლიდან ითვლება.

მეხიკოდან ოთხასი კილომეტრის მოშორებით, ქალაქ ლეონის შემოგარენში შერჩეულია მიწიანი, მთლიანობაში არცთუ რთული გზები, თუმც არის ერთი-ორი ტრამპლინი, რომლებმაც დახტომისას რამდენიმე მანქანა შეიწირა. ეგაა, დისტანცია გადის ზღვის დონიდან 2 700 მეტრის სიმაღლეზე და მაღალმთიანობა გამორჩეულ პრობლემებს უქმნის საბურავებს და ძრავებს. ეს რბოლა ერთ-ერთი ყველაზე ჩქაროსნულია მთელ ჩემპიონატში. 356 კილომეტრი (14 ჩასათვლელი მონაკვეთი) გამარჯვებულმა 96,6 კმ/სთ საშუალო სისწრაფით დაძლია.

სხვათა შორის, ზუსტად ასეთივე სიჩქარით იქროლა შარშან სადებიუტო რალის მომგებმა მარკო მარტინმა. ესტონელმა პილოტმა უზარმაზარი უპირატესობით კი გაიმარჯვა, მაგრამ ისიცაა სათქმელი, რომ მორიგი უბნის სტარტზე პეტერ სოლბერგის „სუბარუს“ აკუმულატორი „დაუჯდა“ და არ დაიქოქა, რის გამოც ნორვეგიელმა ის მონაკვეთი გამოტოვა. ეს კი ხუთწუთიანი ჯარიმით ისჯება. ამხელა დანაკარგი რომ არა, მოგებას სწორედ სოლბერგი იზეიმებდა, ისე კი მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

ამჯერად „ჰოლივუდ“ პეტერმა სრულფასოვანი რევანში აიღო, პირველივე, 22-კილომეტრიანი უბნის მოგებით საგრძნობლად დაწინაურდა და სამდღიურში არავის მისცა მიახლოების საშუალება. ცხადია, ეს მისი ინგლისელი თანამძღოლის მაიკლ პარკისა და უნაკლო „სუბარუ-იმპრეზას“ დიდი დამსახურებაცაა. სოლბერგმა და პარკმა 14-დან ექვს ჩასათვლელ მონაკვეთზე აჯობეს მეტოქეებს. სებასტიენ ლოებმა და დანიელ ელენამ ოთხჯერ იპირველეს, მარკუს გრონჰოლმმა და ტიმო რაუტიაინენმა — სამჯერ.

ლოებიც და გრონჰოლმიც თავიდანვე გაწვალდნენ. „სებმა“ თავისი „სიტროენი“ კუდით ქვას მიახეთქა და უკანა მარჯვენა ბორბალი მოსძვრა. ასე სამ ბორბალზე მოუხდა ქალაქის ქუჩებში საარეული საკონტროლო პუნქტამდე მანქანის გასაწონასწორებლად ელენა მძღოლის მხარეს ფანჯარაში შეჯდა, რის გამოც მაშინვე გაჩერა საგზაო პოლიციამ და აიძულა, კაბინაში ჩამჯდარიყო. ბოქსებში ჩემპიონის „სიტროენი“ კი შეაკეთეს, მაგრამ დაგვიანება თითქმის ხუთწუთიან სანქციად დაუჯდა, რამაც ეკიპაჟი მე-14 ადგილზე გადაისროლა. და მაინც, ლოებს ფარ-ხმალი არ დაუყრია, დარჩენილ მონაკვეთებზე გამოჯანმრთელებული მანქანით ჩინებულად იჯირითა და ფინიშთან მეოთხე მივიდა.

გრონჰოლმის „პეჟოს“ სიჩქარეთა კოლოფი ჰქონდა ნაკლი... ჭე ხუნდი უხურდებოდა და რბოლისას რამდენჯერმე თავად მოუხდა შეცვლა. ცხადია, ასეთ პირობებში მეორე ადგილით ძალიანაც კმაყოფილი დარჩა, მით უფრო, რომ ეს ორგზის ჩემპიონის წლეულს პირველი პოდიუმია.

30 წლის პეტერ სოლბერგმა ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო, 78-რბოლიან კარიერაში მე-12 და ასე გაიხარა, ლამის მანქანაშივე აცეკვდა. ცხრილში მეორე ადგილზეა მისი უფროსი ძმა ჰენინგ.

მეოთხე ეტაპი 8-10 აპრილს ახალ ზელანდიაში გაიმართება.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

1 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) ---------- 3სთ; 41.06,2
2 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) ---------- ჩამორჩა 34,5
3 მარკო მარტინი (ესტონეთი, პეჟო) ---------- 1.38,3
4 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) ---------- 3.51,1
5 ჰარი როვანპერა (ფინეთი, მიცუბისი) ---------- 3.58,1
6 ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, ფორდი) ---------- 4.05,6
7 ანტონი ვარმბოლდი (გერმანია, ფორდი) ---------- 6.01,0
8 ჟილ პანიზი (საფრანგეთი, მიცუბისი) ---------- 6.01,7

**საერთო ჩათვლა**

1 პეტერ სოლბერგი — მილსი 20 ქულა; 2 მარტინი — პარკი 19; 3 გარდმაისტერი — ჰონკანენი 17; 4 ლოები — ელენა 15; 5 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 12; 6 როვანპერა — პიეტილაინენი 11; 7 პანიზი — პანიზი 7; 8 ჰენინ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 4; 9 შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 3; 10 კარლსონი — ანდერსონი (შვედეთი, პეჟო) 3

**კონსტრუქტორთა თასი**

პეჟო 31, ფორდი 23, მიცუბისი 23, სუბარუ 20, სიტროენი 16, შკოდა 4



# საიდანღაც გამოვარდნილი კლიმენტი

## მაიკლ ჯონსონის დარბაზთა რეკორდი დაემხო




კირონ კლიმენტი

**ამერიკაში,** კერძოდ კი არკანზასის შტატის ქალაქ ფეიტევილში, ფლორიდის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კირონ კლიმენტმა გაოცებისგან ყველას პირი დააღებინა — მან მსოფლიოს რეკორდი დაამყარა დარბაზში 400 მეტრზე რბენაში. კლიმენტის შედეგი გახლდათ 44.57 წამი. შეჯიბრებას, რომელშიც ფლორიდელი გამოდიოდა, ამერიკელ სტუდენტთა დარბაზის პირველობა ერქვა.

კლიმენტის გარბენი მართლაც მეტისმეტად ეფექტური გამოდგა. ნახევარი მანძილი მან 21,08 (!) წამში გაირბინა და მრავალთა მოლოდინის საპირისპიროდ მეორე ნახევარშიც არ დაუკლო სისწრაფე. ბუნებრივია, გარკვეული კლება მაინც ჰქონდა, მაგრამ ამას შეუირაღებელი თვალით ვერავინ შეამჩნევდა.

კირონ კლიმენტმა ფინიშის ლენტი მეორე ადგილზე გასულ არკანზასელ ტერი გასტონზე შვიდი მეტრით ადრე გაწყვიტა.

საინტერესოა, რომ გასტონმა 400 მეტრი 45.29 წამში გაირბინა, რაც თავის მხრივ იქნებოდა რეკორდი — ამერიკელ სტუდენტთა რეკორდი ბუნებრივია, კლიმენტის ფენომენალური გარბენი რომ არ შემდგარიყო.

ცნობისთვის: 400 მეტრზე რბენაში დარბაზთა წინა რეკორდი, 44.63 წამი, არც მეტი, არც ნაკლები, ლეგენდარულ მაიკლ ჯონსონს ეკუთვნოდა.

**ტუტა სიხარულიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომის მარათონი

კვირა დილით ათასობით ადამიანი ჩაება რომის განთქმულ მარათონში, რომელიც კოლიზეუმთან დაიწყო. სარბენი და სახალისო ამინდი კარგი იყო. შეჯიბრი კი პროფესიონალმა მოიგო: გამარჯვებული იტალიელი ალბერტო დი ჩეკო შეიქნა.



REUTERS რომიდან




# ერთ კვირაში

20 მარტს მალაიზიის დიდი საფორმულე პრიზი გათამაშდება. რბოლა რთული იქნება, მალაიზიაში უკვე გვარიანი სიცხეა, 36 გრადუსი. ჟაკ ვილნევმა კი უკვე ჩაატარა თავისი „ზაუბერი“ კუალა ლუმპურის განთქმული ტყუპი კოშკის წინ.



REUTERS კუალა ლუმპურიდან



REUTERS ჰოხფილცენიდან

# ალპებში

შვეიცარიასა და ავსტრიაში კვლავაც არ წყდება საზამთრო შეჯიბრებები. სენტ მორიცში ენგადენის სათხილამურო მარათონმა ჩაისრიალა, რომელშიც 11 ათასმა კაცმა სოფელ-სოფელ ჩაისრიალა. ავსტრიულ ჰოფილცენში კი კვლავაც ბიატლონისტები იბრძვიან.



REUTERS სენტ მორიციდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნაროშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აზვლედიანი, გიორგი ლარცკანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლალო ხომერიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კულაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge